ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N27

ქ.თბილისი 30 ივნისი, 2023 წელი
16[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
საბა ბუაძე
ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი
კონსტანტინე ზარნაძე
ზაზა თავაძე
მიხეილ კაკაურიძე
ნინო კვიტაიშვილი
ცოტნე კობერიძე
ლილე ლიპარტელიანი
შალვა ოგბაიძე
გურამ ოქროპირიძე
ნინო რუხაძე
ვახტანგ სურგულაძე
ზურაბ ჩიკვილაძე
ავთანდილ ცინცაძე
ირაკლი ხელაძე
ლევან ჯაფარიძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი
აკაკი ალადაშვილი
ვლადიმერ ბოჟაძე
არჩილ გორდულაძე
მამუკა გუგეშაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
მარიამ ზაქარიაშვილი
ანა კაკაბაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
სალომე კობალაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ნათია მოდებაძე
გიორგი ონიანი
ლევან ჟორჟოლიანი
რევაზ სოხაძე
გიორგი შარაშიძე
გივი ჩხარტიშვილი
ნინო წულაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
სოფიო ჯაფარიძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან კანდელაკიშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: ნინო ბაგაშვილი, ვასილ აბულაძე, ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან კანდელაკიშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ანა ჩაგარიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელი მარიამ კვერნაძე;

ა(ა)იპ თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორი გოგი ჩიქოვანი.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე განცხადებები გააკეთეს საკრებულოს წევრებმა.

ავთანდილ ცინცაძე გამოეხმაურა საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას, რომ დიდ დიღომში არ არის რეკრეაციული სივრცეები და განაცხადა, რომ საბურთალოს რაიონს და არა მარტო, ზოგადად, დედაქალაქის მერიას, 2017 წლიდან დღემდე, 136 ლოკაციაზე აქვს სკვერის მოწყობითი სამუშაოები განხორციელებული და აქედან დიდი ნაწილი ეკუთვნის დიდ დიღომს. რა თქმა უნდა, შეიძლება ვთქვათ, რომ დღეს ეს საკმარისი არ არის, თუმცა, არის სამომავლო გეგმები, რომლებსაც საბურთალოს რაიონის გამგეობა აუცილებლად განახორციელებს. ავთანდილ ცინცაძე ასევე, გამოეხმაურა დიდ დიღომში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანებასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარს და განაცხადა, რომ ძალიან სასიხარულოა, რომ დიდ დიღომს შეემატება კიდევ 6 ჰექტარი გამწვანებული ტერიტორია, სკოლა და ორი საბავშვო ბაღი, რაც დღეს უდიდესი პრობლემაა დიდი დიღმისთვის.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ დღევანდელი გამოსვლა სურს დაიწყოს თემით „იცურე მშვიდად“, რადგან ზაფხულის პერიოდის დადგომასთან ერთად, მას შემდეგ, რაც იწყება ე.წ. საზღვაო სეზონი, ფაქტობრივად გეომეტრიული პროგრესიით იზრდება თბილისის ზღვაზე ტრაგიკულად გარდაცვლილი მოზარდების რიცხვი. 2015 წლიდან, დაახლოებით ორმოცამდე ახალგაზრდა დაიხრჩო კრიტიკულად მძიმე ზონებში, რომლებსაც ფაქტობრივად შეგვიძლია ვუწოდოთ „სიკვდილის ზონები“ და ასეთი თბილისის ზღვაზე არის სამი. 2018 წლიდან, ანა დოლიძემ და ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციებმა დაიწყეს კამპანია „იცურე მშვიდად“, რომელმაც მიაღწია იმ შედეგს, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ, თბილისის მერიამ ჩანჩქერის ტერიტორიაზე განათავსა უსაფრთხოების ჯეგირები, თუმცა, მათი განთავსება არ გახდა დამაკმაყოფილებელი პირობა, რადგან გამოიკვეთა თბილისის ზღვის არაოფიციალური, კუსტარული ნაწილები, რომელთა შორის განსაკუთრებით საშიშია ე.წ. კოშკის ტერიტორია, ადგილი სადაც სამგორის არხით იორის წყალი შემოდის და ჩანჩქერის მიმდებარე ტერიტორია. იმ ტერიტორიაზე, სადაც ნებადართულია ცურვა, განთავსებული არიან მაშველები და საგანგებო სიტუაციების მართვის დამხმარე ჯგუფები, თუმცა, ზემოთ ხსენებულ კრიტიკულად მნიშვნელოვან არეალებში არ ხდება პატრულირება და აქედან გამომდინარე, პარტიამ „ანა დოლიძე - ხალხისთვის“ წარმოადგინა წინადადება, რომ სეზონურად, რამდენიმე თვის განმავლობაში, თბილისის მერიამ, უსაფრთხოების სამსახურიდან, მუნიციპალური ინპექციიდან ან, ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების მართვის სახმსახურიდან, გამოყოს თანამშრომლები იმისთვის, რომ თბილისის ზღვის ამ სამ კრიტიკულ ზონაზე, ლისის და კუს ტბებზე განხორციელდეს პატრულირება, რათა თავიდან იქნას აცილებული უბედური შემთხვევები. ნინო წულაძემ ისაუბრა დიდუბეში წყალმომარაგების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე, აღნიშნა, რომ რეაბილიტაციის პროცესით გამოწვეულ პრობლემებზე არავინ არაფერს ამბობს, რადგან გასაგებია და ვიცით, რომ უნდა გავიჭირვოთ, თუმცა, საბოლოო არხზე დაერთების შემდეგაც „ბახმაროს რვალიტრიანი ბოთლებით“ გვიწევს ცხოვრება და ამ დონეზე გაჭირვებისთვის ადამიანები მზად არ ვართ. აქედან გამომდინარე, მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ მოიწვიოს კომპანია „GWP“-ს ხელმძღვანელობა, რომელიც პასუხს გასცემს ამ მიმართულებით არსებულ ყველა კითხვას. საუბრის ბოლოს, ნინო წულაძემ მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს: „ოფიციალურად მინდა განიხილოთ, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, ჩემი მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოდან გასვლის შესახებ წინადადება. უბრალოდ, არ მინდა, რომ ფორმალურადაც კი იმ ფურცელზე ჩემი სახელი და გვარი ეწეროს“, რაზეც საკრებულოს თავმჯდომარისგან მიიღო პასუხი, რომ გენდერული საბჭოდან გასვლისთვის საჭიროა მიჰყვეს შესაბამის პროცედურებს, რის შემდეგაც დაკმაყოფილდება მისი მოთხოვნა.

ცოტნე კობერიძემ განაცახადა, რომ ბოლო პერიოდში, „ქართული ოცნება“ გადავიდა პირდაპირ ძალადობაზე და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „დღეს თქვენ გგონიათ, რომ ამ ძალადობით ვინმეს შეაშინებთ. შეუძლებელია, შიში გახასიათებთ თქვენ, „ქართულ ოცნებას“... შიში არის დიტო სამხარაძის დაძახებულზე და მიწერილზე ხალხი „ok“-ს რომ წერს... დიტო სამხარაძე, თქვენ, დარწმუნებული ვარ, აქ მჯდომი, ბავშვსაც კი არ დაუტოვებთ სტუმრად რომ მიდიოდეთ, ეგ ისეთი კაცია და ეგ კაცი რომ გყავთ შიშის გამო, ეგ არის პრობლემა. შიშია ჯერ რომ „რუსული კანონი“ მიაღებინეს იმ დეპუტატებს, ეს შიშმა გააკეთებინათ და მეორე დღეს რომ უკან წაიღეს, ეგეც შიშმა გააკეთა. შიში არის, რომ ზუსტად ვიცი, რასაც აქ ვლაპარაკობ ხოლმე სუსზე და საპატრიარქოზე, თქვენც რომ მეთანხმებით, მაგრამ ამას ვერ იტყვით იმიტომ, რომ გეშინიანათ თქვენი აზრის დაფიქსირების. შიში იყო, რამაც გამოგამწკრივათ სალომე ზურაბიშვილის ბანერზე და აქებდით, შიშის გამო აქებდით, დიდად არ ირეოდით. ეხლა იგივე შიშის გამო ლანძღავთ იმიტომ, რომ იმ ერთ კაცს ესე უნდა. შიშის გამო იყო, გახარიას რომ აქებდით და ძაან მაგარ კაცად რომ მიიჩნევდით და დღეს ლანძღავთ და ნარკომანს ეძახით... შიშის გამოა, რომ ღარიბაშვილი კიევში ვერ ჩადის... შიშის გამო იყო პრიგოჟინის ამბავზე „გასუსული“ რომ იყო მთელი „ქართული ოცნება“ და ბრაზდებოდა ჩვენ რომ გვიხაროდა, რუსეთის სიძლიერე რომ ეჭვქვეშ დგებოდა... შიშის გამოა, ქვით რომ დაადგები სტუდენტებს... ყველაზე დიდი რამე, რისიც უნდა გეშინოდეს, ეს არის არა ქვიანი კაცი, არამედ სინდისის ხმა და ამ სინდისის ხმასთან ჩვენ მართლებით ვართ, თქვენ არა... შიშია, როცა იცი, რომ თუ არ იქნები მმართველი პარტიის წევრი და „ქართული ოცნების“ წიაღში, ისე, დამოუკიდებლად, შეუძლებელია ცხოვრებაში რამეს მიაღწიო და ამიტომაც ხართ მზად, რომ ჩუმად იყოთ და უსმენდეთ იმას, რასაც ღარიბაშვილი დღეს პარლამენტში საუბრობდა... ძალადობით ვერ მოიგებთ... როგორც ჰომოსაპიენსებმა დაამარცხეს ქვიანი ნიადრეტარიანელები, ისე დაგამარცხებთ იდეით ადამიანები ქვიან მოძალადეებს“.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ სურდა, დღეს ესაუბრა მუნიციპალურ საკითხებზე და ამით შემოფარგლულიყო, სანამ მოისმენდა პრემიერმინისტრის გამოსვლას, რომელსაც „სამარცხვინო“ უწოდა და განაცხადა, რომ პრემიერმინისტრი არის „თანამდებობისთვის შეუფერებელი, აღზევებული“, რომელსაც მისივე პარტიის შემქმნელი და თავმჯდომარეც არ სცემს პატივს. მისი თქმით, ეს იყო სრულიად სამარცხვინო განცხადება და გამოსვლა სწორედ, იმიტომ, რომ ყველაზე კრიზისულ და კრიტიკულ პერიოდში, როდესაც განსაკუთრებული ძალისხმევა და ნაბიჯები არის საჭირო იმისთვის, რომ ეს ქვეყანა სამშვიდობოს გავიყვანოთ, ჩვენ გვყავს პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელმაც დღეს, საზოგადოებას წარუდგინა რეალობისგან აცდენილი, არაადეკვატური მოხსენება. მთელი ამ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მოლოდინი იყო, რომ 12 პუნქტის შესრულება მოხდებოდა და ამაზე იქნებოდა მუშაობა, რამდენიმე დღის წინ, მოვისმინეთ ევროკომისარ ვარჰეის შეფასება, სადაც 12-დან მხოლოდ და მხოლოდ 3 რეკომენდაცია იქნა შესრულებულად ჩათვლილი და ისიც კარგად გვახსოვს, რა ფორმებითაც და რა კეთილსინდისიერებითაც შეფასდა. იმ დროს, როდესაც მოლოდინი იყო, რომ რაღაც გაკეთდებოდა და ამ ქვეყნისთვის მართლა ისტორიულ პერიოდში, პრემიერმინისტრს და სახელისუფლებო გუნდს აღმოაჩნდებოდა იმის გამბედაობა, შორსმჭვრეტელობა და კეთილსინდისიერება, რომ გაეკეთებინა ის, რასაც მათგან საზოგადოება მოითხოვს, ჩვენ ვნახეთ, რომ მოხდა „რუსული კანონის“ მიღება და ვნახეთ, რომ ხელისუფლება ეწეოდა ჩვენი ევროპული პერსპექტივის საბოტაჟს, რომლის ნაწილი არის ის ძალადობრივი კამპანია, რომელიც მიმდინარეობს, განსაკუთრებით ბოლო კვირების განმავლობაში და ამის მთავარი დამფინანსებელი და სულისჩამდგმელი არის პრემიერმინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც ამ ქვეყანას ძალიან სწრაფი ტემპებით მიაქანებს რუსული ორბიტისკენ.

მიხეილ კაკაურიძემ განაცხადა, რომ სამწუხაროდ, საკრებულოს ყველა სხდომა იწყება იმაზე საუბრით, თუ ვისი ინტერესები დგას კონკრეტული პროექტის უკან და მიუხედავად იმისა, რომ მკაფიოა ის, რომ დედაქალაქი ურბანული ქაოსის წინაშე დგას, რეალური ქმედებები არ მოსდევს გაკეთებულ განცხადებებს და არაფერი იცვლება. მისი თქმით, საკრებულოს სხდომის

დღის წესრიგიდან ცალკე ერთი და ორი განაშენიანების გეგმა კი არ არის ამოსაღები, არამედ, ეს ყველა, ერთობლიობაში არის ძალიან ცუდი გადაწყვეტილება, რადგან ქმნის დედაქალაქში დღეს არსებულ კოლაფსს. საკრებულოს ყველა სხდომის დღის წესრიგი გადავსებულია განაშენიანების რეგულირების გეგმების, გეგმარებითი დავალებების და ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებების საკითხებით, რათა განხორციელდეს თბილისის კიდევ და კიდევ უფრო ინტენსიური განაშენიანება, მიუხედავად იმისა, რომ ქალაქში უკვე გვაქვს ისეთი გამოწვევები, რომლებიც მოსახლეობას უქმნის სერიოზულ დისკომფორტს გადაადგილების თუ ბევრი სხვა თვალსაზრისით. არ გვაქვს სკოლები, ბაღები, ინფრასტრუქტურა და ქალაქში არსებული პრობლემების მოსაგვარებლად ხორციელდება ისეთი მინიმალური პროექტები, როგორიცაა ერთი რომელიმე გამზირის რეაბილიტაცია და ამ ტემპით უსუსურები ვხდებით დედაქალაქში არსებული გამოწვევების წინაშე. მიხეილ კაკაურიძემ აღნიშნა, რომ დღევანდელი მონაცემებით, რა თქმა უნდა, ყოველი პროექტი არის ფისკალური ეფექტის მომტანი და შეიძლება ეკონომიკის განვითარების კუთხით წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ამ პროექტების განხორციელების და რეალიზების შემდეგ, ეს ყველაფერი მძიმე ტვირთად დააწვება დედაქალაქს და მის ბიუჯეტს. მისი თქმით, საკრებულო, ყოველ სხდომაზე, „ჩეხავს“ იმ გენერალურ გეგმას, რომელიც „ზარ-ზეიმით“ იქნა მიღებული, რადგან ქალაქი მიდის გენ.გეგმით გაწერილი პრიორიტეტებისგან აბსოლუტურად განსხვავებული მიმართულებით - სატრანსპორტო პოლიტიკა არ არის თანხვედრაში იმ ურბანულ განვითარებასთან, რომელიც დღეს თბილისში გვაქვს და არც სამრეწველო პოტენციალის გაზრდა გვაქვს სახეზე, რაც შეიძლება გარკვეული შეღავათი იყოს მოქალაქეების დასაქმების კუთხით და მხოლოდ და მხოლოდ მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მომსწრე ვართ, რაც ძალიან დიდ უკურეაქციას გამოიწვევს მომავალში. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ საკრებულოში წარდგენილია მისი და ოპოზიციონერი კოლეგების არაერთი ინიციატივა, თუმცა, არცერთი მათგანის განხილვა არ მომხდარა, თუნდაც კომისიის ფორმატში და მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს: „იქნებ ჩვენი ინიციატივები განხილული მაინც იქნას, არა თუ მხარდაჭერილი“.

ოთარ გრიგოლია გამოეხმაურა საბა ბუაძის გამოსვლას და მიმართა მას: „ძალიან კარგად მესმის, რომ თქვენ არ მოგწონთ პრემიერმინისტრის პოზიციონირება იქიდან გამომდინარე, რომ დღეს პრემიერმინისტრი არის ძალიან ძლიერი და „ქართული ოცნების“ გუნდი არის ძალიან ძლიერი“. მისი თქმით, ჩვენ, დღეს, ვნახეთ ექსპორტის და იმპორტის მაჩვენებლები, ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებელი - ბოლო ორი წელია 10%-იანი ეკონომიკური ზრდა გვაქვს და მნიშვნელოვნად შემცირდა სიღარიბე, ხოლო წელს ველოდებით 7%-იან ეკონომიკურ ზრდას და იგეგმება ძალიან მსხვილი პროექტების განხორციელება. განაცხადა, რომ სამწუხაროდ, ოპოზიციას არ უნდა დაინახოს ის, რაც მართლა რეალურად კეთდება ამ ქვეყანაში, არ უნდა დაინახოს ის წარმატება, რომელიც ჩვენ რეალურად გვაქვს და კიდევ ერთხელ მიმართა საბა ბუაძეს: „მე არ მინდა დავიჯერო, რომ ეს შენი პირადი განწყობაა და დარწმუნებული ვარ, რომ შენ შენი ქვეყანა ძალიან გიყვარს, მაგრამ მე არ ვარ დარწმუნებული იმ ადამიანებში, ვინც შენ გვერდით გიდგას, მათ შორის, არა შენი პარტიის წევრები. აქედან გამომდინარე, გასაგებია თქვენი აგრესია პრემიერმინისტრის მიმართ, გასაგებია თქვენი აგრესია ჩვენი პოლიტიკური ძალის მიმართ, მაგრამ ერთი რამე არის ცხადი - წარმატება არის ძალიან ხელშესახები და კონკრეტული, რომელიც ჩვენს ქვეყანას გააჩნია“. ოთარ გრიგოლია ასევე, გამოეხმაურა ცოტნე კობერიძის გამოსვლას, რომელსაც „აგრესიული“ უწოდა, განაცხადა, რომ „გესლიანი ენით“ კოლეგებთან ურთიერთობა არის არა მხოლოდ აქ მყოფი ადამიანების უპატივცემულობა, არამედ ინსტიტუტის და ზოგადად პროცესის, რომელშიც ვმონაწილეობთ და მიმართა მას: „ძალიან გთხოვ, იყავი კორექტული... ეცადე, რომ გაიზარდო, დაიხვეწო, რაღაც ისწავლო... გასაგებია, რომ ძაან ზედმეტი აროგანტულობით ხარ შემოსული... რაღაც უნდა ისწავლო და სამყაროზე ელემენტარული წარმოდგენები გქონდეს... ესეთი ღვარძლიანი და შემდეგ უკვე 60-70 წლის დაბრძენებული ადამიანის რჩევებით გამოდიოდე, არაადეკვატურია, არ შეესაბამება იმ მოცემულობას, რომელშიც თქვენ ხართ... ამაზე უნდა

დაფიქრდეთ ხოლმე... ადამიანის ჭკუის დარიგება ამ ფორმით, რა ფორმითაც თქვენ ამას აკეთებთ, არის აგრესია, რომელიც კიდევ უფრო აღვივებს აგრესიას“.

გიორგი ონიანმა განაცხადა, რომ ბოლო ორი კვირაა „ქართული ოცნება“ ავლენს აგრესიას ნებისმიერი მოქალაქის თუ პოლიტიკოსის მხრიდან „რუსის ან „პრორუსის“ დაძახებაზე, რაც ძალიან კარგია, რადგან მათი ამომრჩეველი, რომელმაც შეიძლება რაღაც პერიოდში ჩათვალა, რომ პრორუსობა არის კარგი, ეხლა, „ქართული ოცნების“ წევრების მხრიდან ისეთი პოზიციონერებით, რომ „როგორ მეძახი პრორუსს, ეს ჩემთვის შეგინების ტოლფასია“, უნდა ხვდებოდეს, რომ პრორუსობა არის წაგების ფორმულა და ამორალურობა. თუმცა, მისი აზრით, პრობლემა არის ის, რომ ორი კვირაა „ქართული ოცნება“ ამ პოზიციაზეა, მაგრამ, სამწუხაროდ, არაფერი კეთდება ყველაზე ქართული საქმის მიმართულებით, რაზეც საკრებულოს წევრებს უსაუბრიათ - უკრაინაში დაღუპული ქართველი გმირებისთვის სკვერის მოწყობა და მემორიალის დადგმა. აქედან გამომდინარე, მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „არავის გეგონოთ, რომ მავიწყდება, რომ წინა სხდომაზეც ამაზე ვისაუბრე ან იმის წინა სხდომაზე. არა, ეს ესე გაგრძელდება იმიტომ, რომ ჩემთვის და ვთვლი, რომ ქვეყნისთვისაც ყველაზე მნიშვნელოვანია მიღებული იქნას ეს გადაწყვეტილება. რაღაც სახით თქვენ უნდა მიიღოთ ეს გადაწყვეტილება ან თვეში ერთხელ, ყოველ სხდომაზე, საზოგადოება უნდა იგებდეს, რომ სიტყვით თქვენ საუბრობთ იმას, რასაც საუბრობთ, მაგრამ ყველაზე მაგარი ქართული საქმე, რაც კი შეგიძლიათ ამ დარბაზში გააკეთოთ, ამას აჭიანურებთ და არ აკეთებთ“. აღნიშნა, რომ ოთხი-ხუთი თვის წინ, საკრებულოს თავმჯდომარის მხრიდან გაკეთებული იყო განცხადება, რომ შეიქმნებოდა ჯგუფი, რომელიც იმუშავებდა ყველა იმ პრობლემაზე, რაც შეიძლება წინ ედგას ამ სკვერის და მემორიალის გაკეთებას, თუმცა, დღემდე არცერთი ნაბიჯი ამ კუთხით არ გადადგმულა და ეს უნდა იცოდეს საზოგადოებამ, რადგან როდესაც მოვა არჩევნები ის მიიღებს გადაწყვეტილებას - „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები არიან გულწრფელები, როდესაც ბრაზდებიან პრორუსის დაძახებაზე თუ არა.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ „თბილისს მერია კლავს“, რადგან არ შეიძლება ქალაქის ცენტრში შენდებოდეს უზარმაზარი და მახინჯი შენობები და ეს უნდა გვესწავლა წინა ხელისუფლების მაგალითზე, როდესაც „ბილტმორი“ ააშენეს. თუმცა, ის რაც კეთდება, ისიც უხარისხოდ კეთდება, რისი ნათელი მაგალითიცაა აპლიკაცია „Fixity“-ს შექმნა, რაც მისთვის ძალიან სასიხარულო იყო, რადგან როდესაც მერიაში გზავნის შეკითხვას, პასუხი ან მისდის, ან არ მისდის, ან საერთოდ სხვა თემაზე მისდის და ფიქრობდა, რომ ამ აპლიკაციას გამოიყენებდა. მისი თქმით, სანდრო ეულის ქუჩაზე გაკეთებულია საკმაოდ კარგი ხეივანი, თუმცა, იქ არსებულ არცერთ ნაგვის ურნას ძირი არ აქვს და ნაგავი იყრება ძირს. ამასთან დაკავშირებით გაგზავნა შეკითხვა და „Fixity“-დან მიიღო პასუხი - „თქვენი მოთხოვნა შეუსაბამოა, მიმართეთ მერიის ცხელ ხაზს“. გაუგებარია, რა არის შეუსაბამო? არცერთ ურნას რომ ძირი არ აქვს და ნაგავი ძირს იყრება? მისი თქმით, ასეთი არაერთი მაგალითის მოყვანა შეუძლია და საინტერესოა, რისთვის გაკეთდა ეს აპლიკაცია და რაში დაიხარჯა ფული? აქედან გამომდინარე, მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ეს არის საორხელო საქმეები. თუ აკეთებთ, ბოლომდე გააკეთეთ. კარგი იდეაა“.

ავთანდილ ცინცაძემ განაცხადა, რომ იმ ადამიანებისგან, რომლებსაც ალბათ ავიწყდებათ ვის წარმოადგენენ, მოვისმინეთ ბევრი შეურაცხყოფა. დღეს, პრემიერმინისტრის მხრიდან ნათქვამი იყო სიმართლე, რაც მათ არ ესიამოვნათ, რადგან ამ სიმართლეს ვერ უპირისპირებენ ვერაფერს და მიმართა მათ: „კარგად გაიაზრეთ, ვისი წარმომადგენლები ხართ ამ დარბაზში და მერე ისაუბრეთ. მათ გაკეთებულ საქმეებს გადახედეთ, მათ გადადგმულ ნაბიჯებს გადახედეთ და მერე ისაუბრეთ პრემიერზეც და სხვა დანარჩენებზეც. მართლა სამარცხვინო იცით რა არის? სამარცხვინო ადამიანების წარმომადგენლები რომ საუბრობთ ამას, ეს არის სამარცხვინო. რას ემსახურება თქვენი ეს საქციელი?“

გივი ჩხარტიშვილი გამოეხმაურა ნინო წულაძის მიერ დიდუბის რაიონში წყალმომარაგების პრობლემაზე გაკეთებულ განცხადებას და აღნიშნა, რომ მიმდინარეობს წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია, რის გამოც წყალმომარაგების ქსელზე ხდება ავარიები, რაც იწვევს რაიონში წლის მიწოდების შეჩერებას. ასევე, გამოეხმაურა ცოტნე კობერიძის გამოსვლას და განაცხადა, რომ „დედაქალაქისთვის სირცხვილია ასეთი ადამიანების ამ მნიშვნელოვან დარბაზში ყოფნა და საზოგადოებას კიდევ ერთხელ მოვუწოდებ: ესენი არიან „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა", ადამიანებმა, რომლებმაც გაყიდეს სამშობლო, ჩააბარეს კოდორი და ა.შ. ძალიან ბევრი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო, თუ რამხელა ცოდვაა მათ კისერზე. მაგრამ, ამათ ეს არ აღელვებთ, აგრძელებენ იგივეს, ოღონდ ოპოზიციიდან და საზოგადოებას და ჩემს ამომრჩეველს მინდა კიდევ ერთხელ მივმართო - ზუსტად ეხლა იწყება ის პროცესი, რასაც „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის" დასრულება ჰქვია და კიდევ ერთხელ უნდა ვთქვათ, რომ ყველანი ერთად უნდა დავდგეთ, ვისაც გაგვაჩნია ღირებულებები და სარწმუნობა იმიტომ, რომ რა ძალასთან გვაქვს საქმე, ყველა კარგად ვხვდებით".

ბარბარა ჯიმელი-სულაშვილმა განაცხადა, რომ მათთვის განსაკუთრებული სიურპრიზი არ არის ის, რაზეც დღეს პრემიერმინისტრმა ისაუბრა, რადგან ეს მოსალოდნელი იყო, თუმცა, მისთვის არის დიდი კითხვის ნიშანი - „როდემდე უნდა გააგრძელოთ ძახილი - შეხედეთ მეფის ტანსაცმელს, როდესაც ის უკვე დიდი ხანია შიშველია? როდემდე გინდათ გააგრძელოთ ეს თამაში, არ ვიცი". ასევე, ისაუბრა დღის წესრიგით წარმოდგენილ განაშენიანების რეგულირების გეგმებზე და მიმართა უმრავლესობას: „ვისთვის შენდება ეს მეგაკომპლექსები, ვინ უნდა იცხოვროს ამ ბინებში? ხალხი ტოვებს ამ ქვეყანას. ტოვებს იმიტომ, რომ უიმედოდ არიან. თავის მომავალს ვერ აკავშირებენ ქვეყანაში არსებულ სიტუაციასთან და თქვენი ხელისუფლებისგან ამის საწინააღმდეგოდ გაკეთებული საქმე, მე ჯერ არ მინახავს." ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა განაცხადა, რომ მთავარი რაზეც სურს საუბარი, არის დიღმის პარკის კონტურების გასწორება. მართალია, საუბარია 65 კვ.მ.-ზე, მაგრამ, ხანდახან, პატარა მაგალითში დევს ერთი დიდი სისტემური პრობლემა. კერძოდ, პრობლემაა ის, რომ ვიღაცამ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არალეგალურად ააშენა შენობა-ნაგებობა და მოგვიანებით, შესწორდება კონტურები ფაქტობრივი სიტუაციის მიხედვით, რაც იმას ნიშნავს, რომ ვიღაცას შეუძლია შექმნას კონკრეტული სიტუაცია, რომელსაც შემდეგ კანონი მოერგება მაშინ, როდესაც სხვა მოქალაქეებს წლების განმავლობაში უწევთ სასამართლოში სიარული და მაინც ვერაფერს აკეთებენ და ვერ სარგებლობენ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთებით. აქედან გამომდინარე, გაიხსენა კახა კალაძის სიტყვები, რომ „ჩვენთან ყველაფერი არის კანონიერი" და კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს უმრავლესობას: „დიახ, ზოგისთვის კანონიერია ის შეზღუდვები და იცავთ კანონებს და ზოგისთვის კანონი ერგება მათ კერძო ინტერესებს და სავარაუდოდ, თქვენ კერძო ინტერესებზეც არის ეს მორგებული. ეს არ არის კანონის უზენაესობა. კანონის უზენაესობა ნიშნავს, რომ ის არის ერთნაირი ყველასთვის".

ლევან ჟორჟოლიანმა აღნიშნა, რომ ყოველთვის ცდილობს, საკრებულოს სხდომის ფორმატში ისაუბროს ქალაქის საკითხებზე, თუმცა, დღეს სურს კოლეგებს მოუწოდოს, რომ „ნამდვილად მეტი პასუხისმგებლობა გვმართებს იმ უკულტურო თუ უცენზურო გამონათქვამებთან მიმართებაში, რომლებიც შეიძლება აქ გავიგონოთ. მესმის, რომ ძალიან მძიმეა ეს, განსაკუთრებით კონკრეტული პირებისგან, მაგრამ ჩვენ ამაზე მაღლა უნდა დავდგეთ და საზოგადოებამ თავად უნდა გამოიტანოს დასკვნები, როცა ისინი მიიღებენ გადაწყვეტილებას." მისი თქმით, როდესაც ოპოზიციონერები საუბრობენ ხელისუფლების წარმომადგენლების პრორუსულობაზე, მარტივი მაგალითების მოყვანა შეიძლება იმასთან დაკავშირებით, თუ ვინ რას აკეთებს, როგორც სახელმწიფო, ასევე ადგილობრივ დონეზე, იმისთვის, რომ ჩვენი მომავალი იყოს უკეთესი და ევროპული. მათ შორის, ერთი ასეთი მაგალითია სტრასბურგი, სადაც ბოლო სესიაზე, როდესაც მიმართავდა ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს, მარია ბურიჩს და ეკითხებოდა, თუ რა ეშველებოდა ოკუპირებულ რეგიონებში ადამიანების უფლებათა და ჰუმანიტარული მდგომარეობის შესახებ მონიტორინგს და რა ახალ მექანიზმებზე ფიქრობდნენ ამ მიმართულებით, ოპოზიციონერი ოპონენტები საუბრობდნენ მიხეილ სააკაშვილის მძიმე

მეტალებით მოწამვლაზე. აქედან გამომდინარე, ძალიან მარტივია შედარება, თუ ვისთვის რა არის პრიორიტეტი და საზოგადოებაც კარგად ხედავს ამას. ლევან ჟორჟოლიანმა განაცხადა, რომ ოპოზიციის წარმომადგენლები არ ერთვებიან 12 რეკომენდაციის შესრულებაში და მიმართა მათ: „ოპოზიციას თუ გგონიათ, რომ ხელისუფლების ნაწილი არ ხართ, ძალიან ცდებით. ზუსტადაც ხართ. თქვენ, თქვენი ვალდებულებები გაქვთ... სანამ „პრაიმ ჰაუზის“ მონაწილეებზე მაღალი რეიტინგი არ გაქვთ, მანამდე ნუ გვმოძღვავთ, ძალიან გთხოვთ. იმათ რომ გადაასწრებთ, მერე დაგვმოძღვრეთ“.

ლილე ლიპარტელიანმა მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ძალიან სამწუხაროა, სხვის თვალში ბეწვს რომ ხედავთ და საკუთარში დირესაც ვერ ხედავთ... თქვენ თვითონ თუ დაუკვირდებით თქვენს ლექსიკას და კარგად მოუსმენდით თქვენს პრემიერმინისტრს და მის ლექსიკას, უნდა შეგრცხვენოდათ ნამდვილად. ზიზღის, სიძულვილის ფრქვევა არასოდეს, არცერთ ადამიანს არ მოუტანს სიკეთეს და შესაბამისად, არც ჩვენ, როგორც ერს და როგორც ქვეყანას, არ მოგვიტანს სიკეთეს. ჯვრით და მართლმადებლობით რომ გველაპარაკებით, საინტერესოა, თქვენი „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობის დასასრულის დრო მოვიდა“ და „ვისაც გვწამს ღმერთი, ჯვარი და მართლმადიბლობა“ როგორ მოდის ერთმანეთთან? მართლა ვერ ვხვდები. გივი ჩხარტიშვილი ჩემზე მეტი მართლმადიდებელია? ამით ეს უნდა თქვას? მართლა ვერ ვხვდები, რა გინდათ? სად მიდიხართ? რისთვის იბრძვით?.. საკუთარი კეთილდღეობისთვის რომ იბრძვით, ამას ვხვდები ნამდვილად, მაგრამ, იმის იქით, ჩვენი სუვერენული უფლებები, ჩვენი ეროვნული ამოცანა, რაც არის - ევროპისკენ სვლა, იქ ასე მიდიხართ? - ოპოზიციონერების და ოპონენტების დასრულებით და ძახილით: „კოლექტიური ნაციონალური მოძრაობა“ და „გლობალური ომის პარტია?“... არსებობს ადამიანი ამ ქვეყანაზე, ვისაც ომი უნდა? ძალიან მეეჭვება... დანაშაულია, თუ ჩემი მტრის უბედურება მიხარია? თუ თქვენსავით პუტინს უნდა დავუკრა ტაში და დითირამბები მივუძღვნა? მართლა ვერ ვხვდები რა გინდათ, რას აკეთებთ.“

ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ შეურაცხყოფის მიყენებაზე ადვილი არაფერია, ხოლო ფიზიკურ ძალადობაზე უფრო მძიმე სიტყვიერი ძალადობაა და მიუღებელია ყველა შემთხვევაში და აქედან გამომდინარე, ყველა კოლეგას მოუწოდა, იყოს კორექტული და დაიცვას ის წესები, რასაც შინაგანი კულტურა ჰქვია. გამოეხმაურა საქართველოს პრემიერმინისტრის გამოსვლას, რომელმაც, მისი თქმით, ძალიან გააღიზიანა ოპონენტები და ახლა, ოპოზიციაში აბსოლუტურად ერთიანი განწყობაა - ყველა ცდილობს, რომ პრემიერმინისტრს მიაყენოს შეურაცხყოფა და არავის უთქვამს, რომ სახეზეა ის მიღწევები რაზეც მან ილაპარაკა - უმუშევრობის დაძლევა, განათლების სისტემაში მიღწეული წარმატებები და სხვა მრავალი. ოპოზიციის წარმომადგენლები თავის თავს ვერ აძლევენ იმის უფლებას, რომ ეს თქვან, ვინაიდან ყველა შეპყრობილია ზიზღით და დაპირისპირებით. მისი თქმით, შეიძლება არ მოგწონდეს დღევანდელი ხელისუფლება და პრემიერმინისტრი, თუმცა, ეს არ გაძლევს უფლებას, იყო რადიკალური და შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდე ადამიანებს, ამის ნაცვლად უნდა იყო კრიტიკული და ისაუბრო იმაზე, რომ რაღაც საკითხში ჩავარდნებია. ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ მისთვის არანაირი პრობლემა არ არის პრორუსის დაძახება, რადგან თავად იცის, რომ არ არის პრორუსი და ამიტომ, რაც უნდა ის დაუძახონ, მით უმეტეს, იმ ადამიანებმა, რომლებიც მისთვის არანაირ ავტორიტეტს არ წარმოადგენენ. მაგრამ, თითოეული ადამიანის უკან დგას მისი ოჯახი და ადამიანები, რომლებიც ამას განიცდიან და სწორედ ამიტომ უნდა ვიყოთ კორექტულები და არ შეიძლება გადავიდეთ ზღვარს. საუბრის ბოლოს, მიმართა ოპოზიციის წარმომადგენლებს: „ძალადობას თესავთ თქვენ, თქვენივე გამონათქვამებით, თქვენივე მედიასაშუალებებით. იმ სიძულვილის და იმ პოლარიზაციის, რომელზეც არის საუბარი, მთავარი წყარო ხართ თქვენ.“

კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, რომ საკრებულოში არსებული სიტუაცია ახსენებს ჰაიდნის გამოსათხოვარ სიმფონიას, სადაც ყველა თავის მთავარ არიას რომ შეასრულებს, სანთელს აქრობს და გადის, რადგან ოპოზიციის წარმომადგენლები სხდომაზე განცხადებას გააკეთებენ, გალანძღავენ უმრავლესობის წევრებს და შემდეგ დარბაზიდან გადიან. მისი თქმით,

სახელისუფლებო გუნდსაც და ოპოზიციის წარმომადგენლებსაც სურთ, რომ მივიღოთ ევროკავშირის წევრი ქვეყნის კანდიდატის სტატუსი და მხოლოდ ამიტომ მაინც შეიძლება მიმდინარე წელი გამოაცხადონ მორატორიუმად და „ევროპის დასანახად“ გააკეთონ ისე, რომ ერთმანეთს დაეხმარონ. გამოეხმაურა სხდომაზე გაკეთებულ განცხადებას, რომ თითქოს 12 პუნქტიდან შესრულებელია მხოლოდ სამი და განაცხადა, რომ ეს არის ტყუილი, რადგან ევროკომისარის განცხადებით, სამი რეკომენდაცია შესრულდა პირნათლად, ხოლო დანარჩენი არის პროცესში და ამ პროცესის წარმატებით დასრულება გვისურვა. კახაბერ ლაბუჩიძემ ასევე, ისაუბრა იმ განაშენიანების რეგულირების გეგმებზე, რომლებთან დაკავშირებითაც ოპოზიციის მხრიდან გაკეთდა კომენტარები და განაცხადა, რომ ჯერ არ ყოფილა იმის პრეცედენტი, რომ დეველოპერს შემოეტანა განაცხადი და „ქართული ოცნების“ გუნდს მისთვის მიეცა დავალება, აეშენებინა ორი საბავშვო ბაღი და გადაეცა მუნიციპალიტეტისთვის.

კონსტანტინე ზარნაძემ აღნიშნა, რომ თვალს ადევნებდა პრემიერმინისტრის გამოსვლას და მიმართა საზოგადოებას: „რა იყო აქ ტყული? ზედმეტის ლაპარაკი პრემიერის მხრიდან ან მმართველი გუნდის მხრიდან? ის არის ტყუილი, რომ სააკაშვილის ავანტიურის გამოა თბილისიდან 40 კილომეტრში რუსის ჯარი? რა არის ტყუილი? რას ვემახით ტყუილს? კონკრეტულად ვილაპარაკოთ მაშინ. თუ ის თქვა ირაკლი ღარიბაშვილმა ტყუილი, რომ შარშან, როდესაც კანდიდატის სტატუსი არ მიეცა საქართველოს, ეს იყო ჩვენი ევროპელი მეგობრების მხრიდან დაშვებული შეცდომა? რატომ უნდა მიეცა, პირობითად, კანდიდატის სტატუსი მოლდოვისთვის და რატომ არ უნდა მიეცა საქართველოსთვის, როცა თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოს განვითარება, ამ სამეულს შორის, ყველაზე თვალსაჩინოა არა მარტო ევროპელებისთვის, არამედ, დარწმუნებული ვარ, ჩვენი ყველა პარტნიორისთვის, მათ შორის, ამერიკელებისთვის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს სტატუსი ჩვენ დამსახურებულად უნდა მივიღოთ და ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ ამ სტატუსის მოსაპოვებლად. უბრალოდ, ერთია, რომ ოპოზიციის ჩართულობის გარეშე, იმ თორმეტპუნქტიანი გეგმის შესრულება ფაქტობრივად შეუძლებელია იმიტომ, რომ ყველა პუნქტს რომ თავი დავანებოთ, ერთ-ერთი არის პოლარიზაციის დასრულება და ამ პროცესში ცალმხრივად ვერცერთი მხარე ვერ იქნება ჩართული.“ საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ძალიან მიღებულია ერთმანეთის პირადი შეურაცხყოფა და ამას უნდა ჩამოვშორდეთ, რადგან შეურაცხყოფა, ცინიზმი და დღეს არსებული ურთიერთდამოკიდებულება, ძალიან ცუდ შედეგამდე მიგვიყვანს და მიმართა საკრებულოს წევრებს: „გთხოვთ, საკრებულო იყოს სამუშაო ორგანო... მგონი, შეგვიძლია ისეთი პოლემიკა გავმართოთ, რომ არ გადავიდეთ პიროვნულ შეურაცხყოფებზე“.

გიორგი შარაშიძემ ისაუბრა კახეთის გზატკეცილზე არსებულ მდგომარეობაზე, სადაც, მისი თქმით, „ძალიან მწვავე პრობლემა და „აღმაშფოთებელი სიტუაციაა“. აღნიშნა, რომ რამდენიმე წლის წინ, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გზაზე, თბილისის მერიის და პირადად კალაძის გადაწყვეტილებით, რამდენიმე მილიონი ლარი დაიხარჯა იმაში, რომ გზის გამყოფი ზოლი „შემკობილიყო“ თეთრი ქვებით. დღეს დადასტურდა, რომ ეს იყო თბილისის მერიის მიერ ძალიან მცდარი ტექნიკური გადაწყვეტილება და პირადად მერის „ერთგვარი კაპრიზი“, რადგან იქ თუ გაივლით, ნახავთ, რომ ამოსულია რამდენიმე მეტრიანი ბალახი და აღარც თეთრი ქვა ჩანს, რაც ადასტურებს იმას, რომ აბსოლუტურად უმიზნოდ და უშედეგოდ დავხარჯეთ მილიონობით ლარი ამ გზის თეთრი ქვებით „შემკობაში“. მისი თქმით, მთავარი პრობლემა არის ის, რომ დღეს, თბილისის მერია, „თბილსერვის ჯგუფის“ თანამშრომლებს ამუშავებს გაუსაძლის მდგომარეობაში პირადად მერის მიერ დაშვებული შეცდომის გამოსწორებისთვის, რაშიც იგულისხმება ის, რომ სამუშაოები მიმდინარეობს ღამის საათებში, ალბათ იმიტომ, რომ ნაკლებმა ადამიანმა დაინახოს იქ რა ხდება. აქედან გამომდინარე, მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს: „უახლოეს სხდომაზე, იქნებ მოხერხდეს „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელის დაბარება. პირველ რიგში, გავიგოთ, რატომ მოხდა, თავის დროზე, ამ გადაწყვეტილების მიღება და რას ეფუძნებოდა ამ სრულიად გაუაზრებელი და ტექნოლოგიურად სრულიად გაუმართლებელი გადაწყვეტილების მიღება და რაც მთავარია, რატომ გვიწევს თბილისელებს ორჯერ გადავიხადოთ მილიონები იმაში, რაც თავიდან არ

უნდა გაგვეკეთებინა.“ მისი თქმით, ასეთი ტიპის საკითხებს ძალიან დიდი მნიშვნელობა უნდა ენიჭებოდეს, რადგან ეს არ არის სხვა არაფერი, თუ არა ბიუჯეტის ფულის გაფლანგვა და რაც ყველაზე აღმაშფოთებელია არის ის, რომ „თბილსერვის ჯგუფის“ თანამშრომლები იძულებულები არიან, თავისი ფიზიკური შრომით, მათ შორის, ღამის საათებში, იმუშაონ კალაძის შეცდომის გამოსწორებაზე. აქედან გამომდინარე, გიორგი შარაშიძემ მიმართა საკრებულოს წევრებს: „მოგიწოდებთ ყველას, რომ ძალიან დიდი ყურადღება მიექცეს ამ საკითხს. ჩვენ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ ვართ, რომ ეს პრობლემა გამოსწორდეს, მაგრამ ნამდვილად ვართ იმის წინააღმდეგი, რომ კვლავ ბიუჯეტის ფულით მოხდეს ამ პრობლემის გამოსწორება... კეთილი ინებოს მერმა და უნდა საკუთარი სახსრებით, უნდა მოიძიოს დაფინანსება და თავისი შეცდომა გამოასწოროს ისე, როგორც საჭიროა და ეკადრება თბილისს“.

გიორგი ტყემალაძემ განაცხადა, რომ თბილისის საერთაშორისო აეროპორტის გზა შეიძლება ითქვას, რომ „ქალაქისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავიზიტო ბარათია“ და პირადად მისი აზრით, კახეთის გზატკეცილი არის ძალიან ლამაზი. გზის გამყოფი ზოლის თეთრი ქვებით დაფარვაზე აღნიშნა, რომ რამდენიმე წელია საუბარია იმაზე, რომ იქ თითქოს ბალახი ამოვიდა და აქედან გამომდინარე, მიმართა რევაზ სოხაძეს, მოიწვიონ „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელი და კომისიის ფორმატში მოისმინონ ტექნიკურად რა პრობლემაა. ხოლო რაც შეეხება კომპანიის თანამშრომლების შრომას, აღნიშნა, რომ ისინი, ზოგადად, ძალიან ბევრს შრომობენ და ასევე, აღსანიშნავია, „ეკოსერვისის“ თანამშრომლების შრომაც, რადგან სწორედ ამ ადამიანების დიდი შრომის შედეგად თბილისში გვაქვს ისეთი მოვლილი გამწვანება, როგორიც შეიძლება ვერ ვნახოთ ძალიან ბევრ ქალაქში. ამიტომ, ფიქრობს, რომ ამ ადამიანების ანაზღაურება უნდა იყოს უფრო მაღალი, ვიდრე არის დღეს და ის თანამშრომლები, რომლებიც ძალიან ბევრს შრომობენ, რა თქმა უნდა, უნდა იყვნენ ყურადღების ქვეშ, არ უნდა გაწიონ ზედმეტი სამუშაო, რომელიც არ შედის მათ ფუნქციებში და არ ფიქრობს, რომ გიორგი შარაშიძის მიერ ხსენებულ ფაქტებს ჰქონდეს ადგილი.

შალვა ოგბაიძე გამოეხმაურა ცოტნე კობერიძის გამოსვლას და განაცხადა, რომ „ყველაზე დიდი შეურაცხყოფა თბილისელისთვის იყო, როდესაც მას უწოდებდი უზრდელს, ამ ადამიანებს ესე აღარ მიაჩნიათ, უზრდელი „დედის ნანასავით“ ჩაესმით. ეს დარბაზი ვერ იტანს ამას და გაძლევთ პირობას, ვერც ვერასოდეს აიტანს... ყველაფერი „არ მოსულა“ ჩვენს დედაქალაქში და მით უმეტეს, ამ დარბაზში. დარწმუნებული ვარ, ეს ყმაწვილი ვეღარასოდეს ვეღარ შემოდგავს ფეხს ამ დარბაზში, მისდა სამწუხაროდ... იქნებ რამე გადააფასოს, დრო აქვს.“

ლილე ლიპარტელიანმა მიმართა უმრავლესობის წევრებს: „ახლა თქვენ რომ საუბრობთ „არა ძალადობას, არა შურაცხყოფას“ და ა.შ., ძაან ტრაფარეტული და შინაარსისგან დაცლილია ეს ყველაფერი იმის ფონზე, რომ ახლა კასპში, თბილისიდან ჩასულები არიან „ქართული ოცნების“ აქტივისტები, სადაც ლევან ხაბეიშვილს ჰქონდა შეხვედრა და ფიზიკურად უსწორდებიან იქ ადამიანებს“.

გიორგი ტყემალაძე გამოეხმაურა ლილე ლიპარტელიანის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციას და განაცხადა, რომ არანაირი ძალადობა არ არის მისაღები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ანა ჩაგარიძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღებაამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: გოგი ჩიქოვანი

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე";

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვაანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-70 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე";

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

9. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/ გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N79-36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_3 კატეგორიის და M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

13. „ქალაქ თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანძთელის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.003.002.01.512) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

14. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N4გ-ში (საკადასტრო კოდები: N01.12.07.005.013.01.628 და N01.12.07.005.013.01.630) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

15. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N75-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.001.011.01.513) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

16. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-3 კვარტლის კორპუსი „გ“-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.022.014.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

17. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N51-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.20.024.002.01.513) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

18. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

19. „ქალაქ თბილისში, გიორგი ჩიტაიას ქუჩა N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.002.001.31.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

20. „ქალაქ თბილისში, მე-3 მასივში, მე-9 კვარტლის კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.031.010.01.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

21. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N130-ში არსებული 50.35 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.077.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

22. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში არსებული 32.32 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031.01.530) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

23. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში არსებული 41.11 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031.01.506) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

24. „ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1968 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.519) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

25. „ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქ.N20-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.031.089) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ლილი ვანილისთვის“ (ს/ნ. 404548995) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

26. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზ.N36-40-ის მიმდებარედ არსებული 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.016.040) 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნეკაფესთვის“ (ს/ნ. 405270987) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

27. „ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა, N28-66-ის მიმდებარედ 2286 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.029.055) 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განკარგვის წესით შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის“ (ს/ნ. 404552587) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

28. „ქ.თბილისში, მოსეშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.002.044) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ასორტი ვერესთვის“ (ს/ნ. 404880474) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

29. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N25-27-ის მიმდებარედ არსებული 1402 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.14.012.075) 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ „მარიკა სვიანაძისთვის“ (პ/ნ. 18001015487) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

30. „ქ.თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N118-ის მიმდებარედ 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.05.002.089) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბურგერ ბარ კომპანისთვის“ (ს/ნ. 405241563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

31. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.095) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია აგორასთვის“ (ს/ნ. 202248175) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

32. „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N1, შენობა-ნაგებობა N1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ. ფართიდან 202.03 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.001.025) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის“ (ს/ნ. 200270107) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

33. „ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის“ (ს/ნ. 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N199 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

34. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

35. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიკე გრუპს“ (ს/ნ. 405385578) შორის 2022 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ.თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრო რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 3351 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ნიკე გრუპის“ (ს/ნ. 405385578) უფლებამონაცვლე, შპს „ლ.ბ დიღომის“ (ს/ნ. 430044631) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: მარიამ კვერნაძე

36. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შპს ,,ირბისთვის“ (ს/კ. 205133461) მისამართზე - ქალაქი თბილისი, გორგასლის ქუჩა N105-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.006.017, ფართობი - 6622 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

37. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ისანი თაუერსის“ (ს/ნ. 404614681) მიმართ მისამართებზე - ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი 45 (ს/კ. N01.13.06.010.019) და ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 69 (ს/კ. N01.12.13.038.024) - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

38. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ.თბილისი, ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩა N1ა/ქალაქი თბილისი ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩა N3/ქალაქი თბილისი სლავა მეტრეველის ქუჩა N9 (ს/კ. N01.13.07.019.049) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ჯსჯ გრუპის“ (ს/ნ. 405382562) მიმართ გასატარებელი ღონისძიების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

39. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

40. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ქეთევან კადელაკიშვილი

41. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე
თანამომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი

42. „ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქუჩა N8-ში (ნაკვ. 23/010); (ნაკვ. 23/011); (ნაკვ. 23/012) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.023.070; N01.17.12.027.045; N01.17.12.023.082; N01.17.12.023.083; N01.17.12.023.075; N01.17.12.023.077; N01.17.12.023.078; N01.17.12.023.074; N01.17.12.023.073; N01.17.12.023.079; N01.17.12.023.076) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

43. „ქ.თბილისში, ლისში, სოფელ აგარაკში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.09.477; N72.16.28.090; N72.16.28.089; N72.16.09.129; N72.16.09.956; N72.16.09.952; N72.16.09.124; N72.16.09.545; N72.16.09.546; N72.16.28.010; N72.16.09.122; N72.16.09.598; N72.16.09.587; N72.16.28.189; N72.16.28.188; N72.16.09.527; N72.16.09.126; N72.16.28.276; N72.16.28.275; N72.16.09.135; N72.16.09.476; N72.16.09.125; N72.16.09.547; N72.16.09.119; N72.16.09.951; N72.16.09.133; N72.16.13.453-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

44. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N4-ში, N6-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.19.005.005; N01.19.19.005.079) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

45. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-10 კმ., ქალაქ თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა N9, N11ა, N11, N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.01.013.025; N01.13.01.013.010; N01.13.01.013.028; N01.13.01.013.027; N01.13.01.013.012; N01.13.01.013.006; N01.13.01.013.026; N01.13.01.012.056; N01.13.01.012.058; N01.13.01.007.054) საუნივერსიტეტო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

46. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის დასახლებას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის N396 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

47. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.21.856, N72.16.21.903, N72.16.21.035, N72.16.21.904, N72.16.21.897, N72.16.21.896, N72.16.21.002, N72.16.21.857, N72.16.21.001) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

48. „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49, N49-ა; N49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.07.008.178; N01.14.07.008.180; N01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

49. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე; ქინძმარაულის ქუჩა N37-ში; რქაწითელის ქუჩა N9, N11, N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.33.015.120; N01.19.33.015.050; N01.19.33.015.131; N01.19.33.015.094; N01.19.33.015.195; N01.19.33.015.192; N01.19.33.015.219; N01.19.33.019.126-ის ნაწილი; N01.19.33.015.194) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე "მშრალი პორტი"-ს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

50. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა, IV მიკრო/რაიონში; ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა N22ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.190; N01.14.01.001.403; N01.14.01.001.116; N01.14.01.001.383) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

51. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.16.104.012) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

52. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, იუმაშევის ქუჩა N22-ში (ნაკვ.04/053) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.053) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასაწყობე შენობა-ნაგებობების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

53. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.16.104.013, N72.16.20.571) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

54. „ქალაქ თბილისში, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.015.042; N01.17.12.015.043) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

55. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N206, N204გ, N204, N204-ბ-ის მიმდებარედ, N204ა, N204ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.662; N01.72.14.014.872; N01.10.06.004.003; N01.72.14.014.010; N01.72.14.014.200; N01.72.14.014.408) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საგამოფენო დარბაზის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

56. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.215; N81.02.19.634; N81.02.13.701; N81.02.19.902; N81.02.19.004; N81.02.19.901; N81.02.19.071; N81.02.13.575; N81.02.19.217; N81.02.19.003; N81.02.19.070; N81.02.19.216; N01.81.10.291.007; N81.02.13.789; N81.02.13.790; N81.02.19.635) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

57. „ქალაქ თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., მე-13 კმ. (ნაკვ. 14/579); ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.835; N01.72.14.014.843; N01.72.14.014.579; N01.72.14.014.380) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

58. „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.022.007) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

59. „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.022.008) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

60. „ქალაქ თბილისში, თენგიზ შეშელიძის ქუჩა N13-ში; ქალაქ თბილისში, მეტრო სადგურ „სარაჯიშვილი“-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.17.001.151; N01.11.17.001.152) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

61. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და განმარტა, რომ ცვლილებებით ბიუჯეტის მოცულობა არ იზრდება, წარმოდგენილია მხოლოდ შიდა გადანაწილებები, მათ შორის, ტრანსპორტის კომპანიიდან ტრანსპორტის სააგენტოში შტატების გადატანა.

მიხეილ კაკაურიძემ აღნიშნა, რომ ცვლილებებით შემცირებულია ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის დაფინანსება, რომელიც ზოგადად, კიდევ უფრო მეტ თანხას მოითხოვდა, თუმცა ბიუჯეტით არ იყო ამის შესაძლებლობა. აღნიშნული თბილისელებისთვის არის უდიდესი პრობლემა. ჯერ კიდევ შარშან, ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხის ათვისება ბოლომდე ვერ მოხერხდა, ამ ეტაპზეც წარმოდგენილია ამ კუთხით დაფინანსების შემცირება და იქიდან გამომდინარე, რომ ორი წელია ვერ ხერხდება ამ მიმართულებით გამოყოფილი თანხის ათვისება, დაინტერესდა, ვინ არის პასუხისმგებელი ამ პროგრამის განხორციელებაზე და ვინ არის ამ პროექტის ბიუჯეტში შემოტანის ინიციატორი.

გაიოზ თალაკვაძემ განმარტა, რომ ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის განხორციელება არის მერიის გადაწყვეტილება და მისი ბიუჯეტში შემოტანის შემდეგ, დამტკიცდა საკრებულოს მიერ. მისი თქმით, მუნიციპალიტეტს ჰქონდა იმედი, რომ აღნიშნული პროგრამის განხორციელება მოხდებოდა საკმაოდ კარგი ტემპით, თუმცა, ეს მოლოდინი არ გამართლდა და პროექტის განხორციელება მიმდინარეობს შედარებით ნელი ტემპით. დაწყებულია ბევრი პროექტი და ფაქტობრივად გაშვებულია ყველა, რაც დაგეგმილი იყო, თუმცა, მათი დასრულება წელს ვერ მოესწრება და ამიტომ ხდება ამ მუხლიდან თანხის გადატანა სხვა მიმართულებით.

კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ მოსახლეობის ჩართულობა და მათთან შეთანხმება ძალიან რთულია იქიდან გამომდინარე, რომ პროექტის განხორციელებისთვის საჭიროა ავარიულ კორპუსში მაცხოვრებლების 100%-ის თანხმობა და აღნიშნა, რომ ქერჩის ქ.N6-ში არის III-IV კატეგორიის ავარიული საცხოვრებელი კორპუსი, რომლის მაცხოვრებლებსაც თავად შეხვდა ორჯერ, თუმცა ვერ მოხერხდა შეთანხმება იმაზე, რომ მათ ესარგებლათ ჩანაცვლების პროგრამით და მიმართა მიხეილ კაკაურიძეს: „თუ თქვენ დამიდგებით გვერდით და რაღაც ნაწილში კომუნიკაციას ააწყობთ მათთან, მე პირობას გაძლევთ, რომ ბიუჯეტში ეს

თანხა იქნება უკან დაბრუნებული და გავაკეთოთ ეს პროექტი ერთად“. აქვე განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ამ მიმართულებით ბიუჯეტი გაიზრდება იმის შესაბამისად, თუ რა რაოდენობის პროექტი იქნება განსახორციელებელი.

რევაზ სოხაძემ აღნიშნა, რომ ავარიული სახლების ჩანაცვლების პროგრამის განხორციელება საკმაოდ რთული პროცესია, თუმცა, ამასთანავე არის პროექტირების ეტაპი და დღეის მდგომარეობით, მიმდინარეობს დაახლოებით ოცი კორპუსის პროექტირება, რასაც, რა თქმა უნდა, სჭირდება გარკვეული დრო. შესაბამისად, თბილისის მერია, იქიდან გამომდინარე, რომ ამ კუთხით გამოყოფილი თანხა არ დარჩენილიყო აუთვისებელი, ახორციელებს მის გადატანას სხვა მიმართულებით, ხოლო თუ რაიმე ეტაპზე საჭირო იქნება ჩანაცვლების პროგრამისთვის თანხის დამატება, ეს აუცილებლად მოხდება და პროცესი უსახსრობის გამო არ შეფერხდება.

კახაბერ ლაბუჩიძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტში წარმოდგენილი ცვლილებებით 350000 ლარი გათვალისწინებულია სათამაშოების და თოჯინების მუზეუმის პროექტისთვის, რომელიც განთავსდება საკრებულოს შენობის პირველ სართულზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ მიმართულებით კიდევ უფრო წინ წავიწიეთ და 7-8 თვეში მივიღებთ სრულყოფილ პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 5

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის ქვეპროგრამების განხორციელების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 დეკემბრის N20-122 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ანა ჩაგარიძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება ეხება ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტს, სადაც აქამდე ბენეფიციარებს უფინანსდებოდათ ოპერაციის ღირებულების ნაწილი, კერძოდ, 120000 ლარიდან ფინანსდებოდა 70000 ლარი, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებით, ბენეფიციარებს ოპერაცია დაუფინანსდებათ სრულად 100%-ით, 120000 ლარით.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ ღვიძლის ტრანსპლანტაციის პროგრამა ხორციელდება ეროვნულ დონეზე, რაც ძალიან კარგია, როგორც ადგილობრივ, ასევე, ცენტრალურ დონეზე, თუმცა, საინტერესოა რატომ არ მონაწილეობს მუნიციპალიტეტი ამ პროგრამაში და რატომ არ მიუმართავს ძალისხმევა იქითკენ, რომ მოლაპარაკებოდა ცენტრალურ ხელისუფლებას და ის თანხები, რომელიც მუნიციპალურ ბიუჯეტშია, გადაენაწილებინა სხვა მიმართულებით. აქვე დაინტერესდა, მას შემდეგ, რაც არსებობს ეროვნული პროგრამა, ყოფილა თუ არა ისეთი პრეცედენტი, სადაც მომხდარა თანხებს შორის გადაფარვა და ერთ ბენეფიციარს უსარგებლია ორივე პროგრამით.

ანა ჩაგარიძემ განმარტა, რომ ეს პროგრამა დაიწყო ჯერ მუნიციპალიტეტმა, ხოლო შემდგომ სამინისტრომ, თუმცა, სამომავლოდ, შესაძლებელია ამ მიმართულებით მუშაობა და მოლაპარაკებების წარმოება. აქვე ისიც განმარტა, რომ ის ვინც სარგებლობს ეროვნული პროგრამით, ვერ ისარგებლებს მუნიციპალური პროგრამით და შესაბამისად თანხის გადაფარვა და ერთი ბენეფიციარის მიერ ორივე პროგრამით სარგებლობის შემთხვევა არასდროს ყოფილა.

ზურაბ ჩიკვილაძემ განაცხადა, ეს ინიციირება მოდის უშუალოდ პრემიერმინისტრისგან და ძლიან კარგ გადაწყვეტილებას უერთდება მუნიციპალიტეტი. აღნიშნა, რომ 2018 წლიდან,

როგორც სიახლე ჯანმრთელობის დარგის მიმართულებით, საქართველოში დაიწყო ამ ოპერაციების განხორციელება და ამის ინიცირება აიღო თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ და მართლაც კარგ შედეგებამდე მივიდა, სადაც რისკი და ცუდი შედეგი ნულამდეა დასული. აქედან გამომდინარე, თბილისს შეუერთდნენ სხვა მუნიციპალიტეტებიც და დღეს უკვე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ ამ მიმართულებით დაფინანსება განხორციელდეს ფედერალურ დონეზე, საქართველოს მასშტაბით. აქვე აღნიშნა, რომ ხშირად, მუნიციპალიტეტი და ცენტრალური ხელისუფლება სხვადასხვა პროგრამებით ერთმანეთთან თანხვედრაშია, თუმცა, ძალიან კარგად არის გამიჯნული. შესაძლებელია დადგეს ის მგდომარეობა, რომ ამ პროგრამამ გადაინაცვლოს მთლიან ფედერალურ დაფინანსებაში, თუმცა, ამ ეტაპზე, ძალიან კარგად მიმდინარეობს და არის იმის მოლოდინიც, რომ ბევრი ოჯახი, რომელიც ვერ იღებდა მასში მონაწილეობას, 100%-იანი დაფინანსების შემდეგ ჩაერთვება ამ პროგრამაში და ძალიან ბევრ სიცოცხლეს გადაარჩენს მუნიციპალიტეტი.

კონსტანტინე ზარნაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის მხრიდან რამდენჯერმე იყო რეკომენდაცია კოქსართროზის დაფინანსებასთან დაკავშირებით და იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული პრობლემა აწუხებს ძალიან ბევრ ადამიანს, რომლებსაც მუნიციპალიტეტი ვერ ეხმარება, კიდევ ერთხელ მიმართა მერიის წარმომადგენელს, რომ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურმა შეძლებისდაგვარად გაითვალისწინოს აღნიშნული რეკომენდაცია.

ანა ჩაგარიძემ აღნიშნა, რომ მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური მუშაობს ამ მიმართულებით, პროცესებში ჩართულია სამსახურის უფროსი და სპეციალისტებთან კონსულტაციების გავლის შემდეგ და თანხების არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება გადაწყვეტილების მიღება.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ ამ პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მიღებულია და მიმდინარეობს მუშაობა იმაზე, რომ ბიუჯეტის ნაწილში მოხდეს უზრუნველყოფა.

ანა კაკაბაძემ აღნიშნა, რომ ღვიძლის ტრანსპლანტაციის პროგრამის განხორციელება პირველად დაიწყო თბილისში და როდესაც სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ის განხორციელდებოდა ქვეყნის დონეზე, აღმოჩნდა, რომ თბილისის მოსახლეობა იყო „დაჩაგრულ მდგომარეობაში“, რადგან თბილისის ბიუჯეტი აფინანსებდა 70000 ლარს, ხოლო სახელმწიფო დონეზე ფინანსდებოდა 120000 ლარი. შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო, რომ თბილისის მუნიციპალიტეტს ჰქონოდა დაფინანსების იგივე ზღვარი, რაც არის ცენტრალურ დონეზე. რაც შეეხება გადაფარვას, ის არ და ვერ მოხდებოდა, რადგან აღნიშნული პროგრამის დაფინანსება სულ ახლახანს დააანონსა სამინისტრომ და აღსანიშნავია, რომ მსგავსი მდგომარეობა არის სხვა პროგრამებზეც, მათ შორის, სკრინინგის პროგრამაზე, თუმცა, ამ მიმართულებით არანაირი პრობლემა არ იქმნება. აქვე, განაცხადა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ, ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებული პროგრამები იმდენად მნიშვნელოვანია, იმდენად კარგად ხორციელდება და იმდენად ბევრი სიცოცხლე გადაარჩინა, რომ სწორედ ამ მოდელის გადატანა ხდება ხოლმე შემდგომ ცენტრალურ დონეზე და ზუსტად ეს არის იმის მაგალითი, თუ როგორ უნდა განახორციელო წარმატებული პროგრამები და როგორ უნდა ფუნქციონირებდეს ჯანდაცვის სამსახური მუნიციპალურ თუ ცენტრალურ დონეზე. ანა კაკაბაძემ ასევე, ისაუბრა კოქსართროზზე და აღნიშნა, რომ პროგრამა უკვე შემუშავებულია, მიმდინარეობს თანხების მოძიება და სამსახური მაქსიმალურად მოკლე ვადებში ეცდება წარმოუდგინოს საკრებულოს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებების ერთ ბავშვზე/აღსაზრდელზე გათვლილი ვაუჩერით დაფინანსების, სასკოლო მზაობის საგანმანათლებლო სახელმწიფო სტანდარტის დანერგვის, მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში ბავშვის/აღსაზრდელის რეგისტრაციისა და მიღებაამორიცხვის წესის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორმა გოგი ჩიქოვანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით, პრიორიტეტულ სოციალურ ჯგუფებს, რეგისტრაციის პროცესში, დაემატება საბავშვო ბაღების თანამშრომელთა შვილები. ასევე, რეგისტრაცია ორი ეტაპის ნაცვლად, განხორციელდება სამ ეტაპად: პირველ ეტაპზე დარეგისტრირდებიან მიზნობრივი სოციალური ჯგუფების წარმომადგენელი ბავშვები და საბავშვო ბაღის თანამშრომელთა შვილები, მეორე ეტაპზე - თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ბავშვები, ხოლო მესამე ეტაპზე გამოცხადდება საყოველთაო რეგისრაცია. ცვლილება წარმოდგენილია ზოგადი განათლების კანონთან მიმართებაშიც, კერძოდ, იქიდან გამომდინარე, რომ განათლების სამინისტროს ინიცირებით, 16 სექტემბრიდან პირველ ნოემბრამდე დაბადებულ ბავშვებს მიეცათ სკოლაში წასვლის შესაძლებლობა, მშობლებს ეძლევათ არჩევანის საშუალება - თავისი სურვილით მიიღებენ გადაწყვეტილებას წაიყვანონ ბავშვი სკოლაში თუ ატარონ საბავშვო ბაღში. ამასთანავე, წარმოდგენილი ცვლილებით, პირველი იანვრიდან, სააგენტო, თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის გადაწყვეტილებით, უზრუნველყოფს მის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ფინანსურ საკითხებს.

გივი ჩხარტიშვილმა გოგი ჩიქოვანს მიულოცა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნა, წარმატებები უსურვა მას და თანადგომა გამოუცხადა ყველა იმ მნიშვნელოვანი პროგრამის დანერგვაში, რომელსაც აპირებს სააგენტო.

მიხეილ კაკაურიძემ გოგი ჩიქოვანს წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში და დაინტერესდა, აქვს თუ არა ინფორმაცია გლდანის „ა“ მ/რ-ში, 89-ე საბავშვო ბაღის მშენებლობის დასრულებასთან დაკავშირებით და მიმდინარე წელს განხორციელდება თუ არა აღნიშნულ საბავშვო ბაღში ბავშვების რეგისტრაცია.

გოგი ჩიქოვანმა აღნიშნა, რომ ამ ეტაპზე ხორციელდება 12 საბავშვო ბაღის პროექტი, რომელთა შორის არის ათი საბავშვო ბაღის მშენებლობა, ხოლო ორი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია და მათ შორის არის 89-ე საბავშვო ბაღიც, რომლის სრული რეაბილიტაცია დასრულებული იქნება სექტემბრის ბოლოს და შესაბამისად, მიმდინარე ახალი რეგისტრაციის ფარგლებში შესაძლებელი იქნება ბავშვების დარეგისტრირება.

კახაბერ ლაბუჩიძემ გოგი ჩიქოვანს მიულოცა თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნა და აღნიშნა, რომ დღეიდან, საბავშვო ბაღში რეგისტრაციის პროცესში პრიორიტეტი ენიჭება თანამშრომელთა შვილებს, რაც ამ მრავალრიცხოვანი კოლექტივის კიდევ ერთი დიდი მხარდაჭერაა.

ლილე ლიპარტელიანმა აღნიშნა, რომ უკვე 3 წელია მიმდინარეობს ქვემო ფონიჭალაში, 71-ე საბავშვო ბაგა-ბაღის რემონტი, რომელიც გაიხსნა, თუმცა, მეორე დღესვე დაიხურა. იქიდან გამომდინარე, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნაში ისეთი არაფერი წერია, რომ აღნიშნული ბაღი დაკეტილი იყოს ამდენი ხანი და ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილი ამ ბაღზეა დამოკიდებული, დაინტერესდა, როდის გაიხსნება. აქვე აღნიშნა, რომ დაახლოებით ერთი თვის წინ, მოითხოვა ბაგა-ბაღების თანამდებობის პირების საშტატო ნუსხა და მათი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტები, თუმცა დღემდე არ მიუღია ინფორმაცია და მიმართა გოგი ჩიქოვანს: „იქნებ, ან

წერილი მომწეროთ „არ გაძლევთო“ ან დოკუმენტაცია გამომიგზავნოთ. როგორც ჩათვლით საჭიროდ. წესით უნდა გამომიგზავნოთ, რადგან თანამდებობის პირები არიან.“

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ქვეპროგრამის „სტუდენტთა დაფინანსების პროგრამა“ (კოდი 07 05 03) ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებებიდან წარმატებული სტუდენტების წახალისების და სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მრავალშვილიანი ოჯახის წევრი სტუდენტების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 9 თებერვლის N74-4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ და განმარტა, რომ ცვლილებით წარმოდგენილია ინიციერება, რომელიც გულისხმობს დაზუსტებას, რომ მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებისთვის წახალისების დარიცხვა მოხდება მათ პირად ანგარიშზე. აქვე განმარტა, რომ დღემდე არსებული რედაქციით შესაძლებელი იყო სტუდენტს დავალიანება ჩარიცხვოდა, როგორც პირად, ასევე, უნივერსიტეტის ანგარიშზე. წარმოდგენილი ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ პირად ანგარიშზე გადარიცხვის შემთხვევაში ხდებოდა თანხის დაქვითვა, ხოლო უნივერსიტეტის ანგარიშზე ჩარიცხვისას დაფინანსების დაბეგვრა არ ხდებოდა, რაც იწვევდა იმას, რომ ადამიანები ხვდებოდნენ არათანაბარ პირობებში და ერთი პოზიციის დატოვებით ეს ხელმისაწვდომობა იქნება თანაბარი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სისტემაში პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ 2023 წლის 15 მაისს, ცენტრალურმა მთავრობამ მიიღო 177-ე დადგენილება საჯარო დაწესებულებაში სტაჟირების წესის შესახებ. მერიის სისტემაში არსებობდა პრაქტიკისა და სტაჟირების გავლის წესი და შესაბამისად, ზემოთ ხსენებული დადგენილების საფუძველზე, ამოვარდება სტაჟირების წესი, ვინაიდან აღნიშნული უკვე მოწესრიგებულია ცენტრალურ დონეზე. ხოლო რაც შეეხება მერიის სისტემაში პრაქტიკის გავლის წესებს, ამის საშუალება ექნებათ ნებისმიერი კურსის სტუდენტებს, როგორც საკუთარი განცხადების საფუძველზე, ასევე, უნივერსიტეტის მიმართვის საფუძველზე. ამასთანავე, იქიდან გამომდინარე, რომ წესი ინიციერებული იყო მერიის მიერ, ტერმინოლოგიურად გასწორდა და დაზუსტდა გარკვეული სამართლებრივი ნაწილი.

ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, სტაჟირების ნაწილი წესრიგდება შრომის კოდექსით და ამ შემთხვევაში, მერიის პრაქტიკა შინაარსობრივად სხვა რამეს გულისხმობს,

თუმცა, ჩვენ გვაქვს პროგრამა და კამპანია ანაზღაურებადი სტაჟირებისა და პრაქტიკის შესახებ. მისი თქმით, ყველა კვლევით და საერთაშორისო ქვეყნების გამოცდილებით მტკიცდება, რომ ნომინალური ანაზღაურებაც კი უფრო შრომისუნარიანს და ქმედუნარიანს ხდის პრაქტიკანტს და ასევე, იზრდება მისი სამომავლო დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი. აქედან გამომდინარე, აქვს შეთავაზება, რომ თუ შესაძლებელი იქნება, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ამ პრაქტიკანტებისთვის წამახალისებელად გამოიყოს ნომინალური ანაზღაურება.

ლევან ჟორჟოლიანმა განმარტა, რომ შრომის კოდექსი არ ვრცელდება საჯარო დაწესებულებებზე, სადაც არის ჩაკეტილი სისტემა და პირის მიღება ხდება კონკურსის წესით. ნინო წულაძის შემოთავაზება, იდეურად, რა თქმა უნდა, მისაღებია, თუმცა, ამისთვის საჭიროა ძირეული ცვლილებების განხორციელება საჯარო სამსახურის შესახებ კანონში, რომელიც, ზოგადად, კრძალავს სტაჟიორისთვის ხელფასის გადახდას, რადგან ეს არაფერია, თუ არა თანამდებობრივი სარგო. ეს პარალელურად არ არის გათვალისწინებული საჯარო სამსახურში ანაზღაურების შესახებ კანონში და შესაბამისად, მუნიციპალიტეტი თვითნებურად ვერ დაადგენს. ხოლო თუ გვინდა, რომ სტაჟიორები ან პრაქტიკანტები იღებდნენ ხელფასს, რაც შესაძლებელია კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში თუკი სტაჟირების ვადა აღემატება 6 თვეს, ამ შემთხვევაში, საჯარო სამსახურის შესახებ კანონში უნდა განხორციელდეს ძირეული ცვლილებები, რათა გაიხსნას ეს ერთგვარი ჩაკეტილი სისტემა, რომელიც გულისხმობს კონკურსის წესით საჯარო მოხელის მიღებას და დაწინაურებას, ხოლო ერთჯერადი ცვლილებით, იქიდან გამომდინარე, რომ სტაჟიორის მიღება ხდება გამარტივებული კონკურსით, მივიღებდით ისეთ სურათს, რომ საჯარო დაწესებულებები გამარტივებული კონკურსით აიყვანდნენ სტაჟიორს, რომელიც შეცვლიდა საჯარო მოხელეს და დაუნიშნავდნენ იგივე ხელფასს.

არჩილ გორდულაძემ განმარტა, რომ საჯარო სამსახურის შესახებ კანონში განხორციელდა დიდი ცვლილებები და საქართველოს მთავრობას დაევალა, შეემუშავებინა სტაჟირების გავლის წესი და მივედით იქამდე, რომ მუნიციპალიტეტი აღარ განსაზღვრავს სტაჟირების ნაწილს. რაც შეეხება ანაზღაურებას, ის განისაზღვრება საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ კანონით, რომელიც პირდაპირ განსაზღვრავს, საბაზრო ხელფასი რა კოეფიციენტზე უნდა გამრავლდეს და ასე გამოითვლება შესაბამისი ხელფასი. მაგრამ ამ ბადეში ვერ ხვდებიან სტაჟიორები ერთი მარტივი მიზეზიდან გამომდინარე - სტაჟიორი მიიღება გამარტივებული კონკურსით და სისტემა ვერ გაიხსნება ისე, რომ ყველა ადმინისტრაციულმა ორგანომ შეძლოს კონკურსის გარეშე აიყვანოს ნებისმიერი პირი, რადგან გაჩნდება ნეპოტიზმის და კორუფციის რისკები. აქვე აღნიშნა, რომ სტაჟიორის არსებობა უკვე კარგია, რადგან ბენეფიტის სახით იღებს არა ხელფასს, არამედ გამოცდილებას, რომელიც საჭიროა, რომ თანამშრომელმა დააგროვოს საქმიანობისთვის და ის, რომ სტუდენტს შეუძლია იმუშაოს თბილისის საკრებულოს ან მერიის რომელიმე სამსახურის აპარატში და მიიღოს გამოცდილება, მისთვის არის გაზრდის საშუალება, ეთვლება სტაჟში და ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ დახურულ კონკურსშიც მიიღოს მონაწილეობა, რისი საშუალებაც არ აქვს სხვას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს

დაფუძნებისა და დებულების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 24 იანვრის N52-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ცვლილებები გამოწვეულია მომდევნო პროექტებში წარმოდგენილი ცვლილებებით, სადაც გადახდის სისტემაში წარმოდგენილია სიახლე, კერძოდ, ელექტრონული გადახდა, რაც გულისხმობს, რომ მოსწავლეები და სტუდენტები გადახდას შეძლებენ ტელეფონის საშუალებით.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილი დაინტერესდა, თუ როდიდან შევა ძალაში წარმოდგენილი ცვლილებები.

ვასილ აბულაძემ განმარტა, რომ ცვლილებები ძალაში შევა 2023 წლის პირველი ივლისიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

7. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას, აგრეთვე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12, მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით და 135^3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შევსების/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის N16-53 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ აღნიშნული აქტი ითვალისწინებს სატრანსპორტო კომპანიისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, გარკვეული უფლებამოსილების მინიჭებას, რომელიც დელეგირებული აქვს ასევე, ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს და შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებით, პირველი აგვისტოდან სატრანსპორტო კომპანიას შეუწყდება უფლებამოსილება და სრულად განახორციელებს სააგენტო.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

8. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისას საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის, ჩაბარების, აღრიცხვაანგარიშგების, გასაჩივრებისა და ზემდგომ ორგანოში გადაგზავნის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22

დეკემბრის N19-70 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, სატრანსპორტო კომპანიას, პირველი აგვისტოდან შეუწყდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილება, რის შემდეგაც აღნიშნულს განახორციელებს ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

9. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 და მე-12-მე-16 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 130-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 134^1 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8, მე-12-მე-13 და მე-15 ნაწილებით, 125^2 მუხლით, 135-ე-135^5 მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ფაქტების ვიდეოფირზე ან/და ფოტოფირზე დაფიქსირების შემთხვევაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით საჯარიმო ქვითრის - ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის, მისი შედგენის/გამოწერის, ჩაბარების, აღრიცხვა-ანგარიშგებისა და გასაჩივრების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 15 მაისის N57-52 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს სრულად ექნება უფლებამოსილება უბილეთო მგზავრობასთან და პარკირებასთან დაკავშირებით დაწეროს საჯარიმო სანქციები, ხოლო სატრანსპორტო კომპანიას აღნიშნული უფლებამოსილება შეუწყდება პირველი აგვისტოდან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ უფლებამოსილი ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ შეფარდებული ადმინისტრაციული სახდელის (ჯარიმის) ან/და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილების ზემდგომ ორგანოში გასაჩივრებისას, საჩივრის განმხილველ და გადაწყვეტილების მიმღებ პირად განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 27 აპრილის N79-36 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, საჯარიმო

სანქციებთან ერთად, გაწერილია ევაკუაციის საფასური და შენახვის ხარჯები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ხდება მისი შეტანა საკრებულოს დადგენილების პროექტში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ავტობუსებით (მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული M_3 კატეგორიის და M_2 კატეგორიის) და მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტით (მეტრო) რეგულარული სამგზავრო გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი გადაყვანისას, საბაგირო გზით „უნივერსიტეტი-ბაგები" მგზავრთა გადაყვანისას მოქალაქეთა ცალკეული კატეგორიების შეღავათიანი მგზავრობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 მარტის N6–25 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილ პროექტში შეტანილია გადახდის სხვა საშუალება, კერძოდ, ელექტრონული საშუალება, რომელიც მსურველებს მისცემს შესაძლებლობას, რომ გადახდა შეძლონ აპლიკაციის მეშვეობით და აღარ დასჭირდებათ ბარათის გამოყენება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ტრანსპორტით გადაყვანისას მგზავრობის ტარიფების და ფასდაკლების სისტემის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-81 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება, ისევე, როგორც წინა პროექტი, დაკავშირებულია ბარათით გადახდასთან, კერძოდ, დაინტერესებულ პირებს ეძლევათ შესაძლ;ებლობა გადახდა განახორციელონ ტელეფონით ან სხვა ელექტრონული საშუალებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

13. „ქალაქ თბილისში, ზაჰესის დასახლებაში, გრიგოლ ხანმთელის ქუჩა N1-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.04.003.002.01.512) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 67 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისში, გუდამაყრის ქუჩა N4გ-ში (საკადასტრო კოდები: N01.12.07.005.013.01.628 და N01.12.07.005.013.01.630) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 30 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის, რომელიც 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

15. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N75-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.001.011.01.513) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 15.81 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისში, ვარკეთილის დასახლებაში, მე-3 მასივის მე-3 კვარტლის კორპუსი „გ“-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.022.014.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 29 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N51-ში (საკადასტრო კოდი: N01.10.20.024.002.01.513) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 29 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

18. „ქალაქ თბილისში, ჰოსპიტლის შესახვევი N7-ში (საკადასტრო კოდი: N01.17.12.023.049) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 122 კვ.მ. ფართის გადაცემა ხუთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

19. „ქალაქ თბილისში, გიორგი ჩიტაიას ქუჩა N33-ში (საკადასტრო კოდი: N01.16.06.002.001.31.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 105 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქალაქ თბილისში, მე-3 მასივში, მე-9 კვარტლის კორპუსი N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.031.010.01.010) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 70 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N130-ში არსებული 50.35 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.077.01.500) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 50 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში არსებული 32.32 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031.01.530) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 32 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „ქალაქ თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N115-ში არსებული 41.11 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.14.001.031.01.506) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 41 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი პირისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

24. „ქალაქ თბილისში, ქერჩის ქუჩა N6-ში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 1968 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.029.519)

პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ 2021 წელს, კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების დაკმაყოფილების მიზნით, გაფორმდა ხელშეკრულება კომპანია „ლიდ ჯეოსთან“, რომელსაც გლდანში განხორციელებული პროექტით, უნდა დაეკმაყოფილებინა 12 პირი, თუმცა, ადგილზე წარმოქმნილი ობიექტური გარემოებების გამო, მათ შორის, მიმდებარედ მცხოვრები მოსახლეობის პროტესტის, ჟინვალის გვირაბის და სანიტარული დაცვის არეალის პრობლემის გამო, ინვესტორმა დღემდე ვერ განახორციელა პროექტი და საჭირო გახდა მიწის ნაკვეთის ჩანაცვლება. აქედან გამომდინარე, მიწის ნაკვეთების მონაცვლეობისთვის, იმავე რაიონში - გლდანში, შეირჩა იდენტური პირობების და იგივე ფართობის - 1968 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ხოლო პროექტის განხორციელების ყველა ასპექტი რჩება უცვლელი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

25. „ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქ.N20-ის მიმდებარედ არსებული 16 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.031.089) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ლილი ვანილისთვის“ (ს/ნ. 404548995) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 3840 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

26. „ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზ.N36-40-ის მიმდებარედ არსებული 47 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.016.040) 36 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ნეკაფესთვის“ (ს/ნ. 405270987) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

27. „ქ.თბილისში, ი.აბაშიძის ქუჩა, N28-66-ის მიმდებარედ 2286 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.11.029.055) 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთის განკარგვის წესით შპს „ღვინის ბიბლიოთეკისთვის“ (ს/ნ. 404552587) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ შპს „ღვინის ბიბლიოთეკას“ გადაეცემა აბაშიძის N28-66-ის მიმდებარედ არსებული 2286 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 19 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 4560 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

28. „ქ.თბილისში, მოსეშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.002.044) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ასორტი ვერესთვის“ (ს/ნ. 404880474) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ შპს „ასორტი ვერეს“ გადაეცემა მოსეშვილის ქუჩა N1-ის მიმდებარედ არსებული 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1920 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

29. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N25-27-ის მიმდებარედ არსებული 1402 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.14.14.012.075) 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ი/მ „მარიკა სვიანაძისთვის“ (პ/ნ. 18001015487) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ ი/მ მარიკა სვიანაძეს გადაეცემა ჭავჭავაძის გამზ.N25-ის მიმდებარედ არსებული 2 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 480 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

30. „ქ.თბილისში, აკაკი წერეთლის გამზირი N118-ის მიმდებარედ 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.13.05.002.089) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ბურგერ ბარ კომპანისთვის“ (ს/ნ. 405241563) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის

სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ შპს „ბურგერ ბარ კომპანის“ გადაეცემა წერეთლის გამზ.N118-ის მომდებარედ არსებული 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, რომლის წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 7020 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

31. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში არსებული 2098 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.06.007.095) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ასოციაცია აგორასთვის“ (ს/ნ. 202248175) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ ა(ა)იპ „ასოციაცია აგორას“ მის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის მიმდებარედ, გადაეცემა 2098 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, გამწვანებისა და მოვლა-პატრონობის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ ა(ა)იპ-ს მომიჯნავედ დაარსებულ აქვს მეფუტკრეობის განვითარების მრავალფუნქციური ცენტრი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

32. „ქალაქ თბილისში, სარაჯიშვილის ქუჩა N1, შენობა-ნაგებობა N1-ში, II სართულზე არსებული 943.34 კვ.მ. ფართიდან 202.03 კვ.მ ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.17.001.025) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საქართველოს გენერალთა კლუბისთვის“ (ს/ნ. 200270107) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ ა(ა)იპ „საქართველოს გენერალთა კლუბს“, 2 წლის ვადით, გადაეცემა სარაჯიშვილის ქუჩა N1-ში მდებარე შენობა-ნაგებობაში არსებული 200 კვ.მ. ფართი, საქართველოს გენერალთა კლუბის განთავსების მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

33. „ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის“ (ს/ნ. 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის

ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 19 მაისის N199 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ ა(ა)იპ „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონს“, გადაცემული აქვს ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, პავილიონის განთავსების მიზნით. ამ ეტაპზე წარმოდგენილია განკარგულებაში ცვლილების განხორციელება, კერძოდ, სწორდება აზომვით ნახაზში დაშვებული ტექნიკური ხარვეზი და საიჯარო ფართი იქნება 14 კვ.მ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე – 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

34. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოსა და შპს „კორტებს“ (ს/ნ. 405493194) შორის 2021 წლის 10 დეკემბერს დადებულ „უძრავი ქონების ნასყიდობის პირობებიან ხელშეკრულებაში“ ცვლილებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია შპს „კორტებთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების განხორციელება, კერძოდ, თამარაშვილის ქუჩა N13-ში, აუქციონის წესით განიკარგა კორტების ტერიტორია, მასზე კორტებისა და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით. ხსენებული ხელშეკრულების ფარგლებში, ყველანაირი სამუშაოების წარმოებისთვის გათვალისწინებული იყო 2 წელი, თუმცა, კომპანიამ, სხვადასხვა გარემოებებიდან გამომდინარე, ითხოვა ვადის გაგრძელება და ამ ეპატზე, წარმოდგენილია ვალდებულებების შესრულების ვადის გადაწევა 18 თვით - 2025 წლის პირველ ივლისამდე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე – 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

35. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „ნიკე გრუპს“ (ს/ნ. 405385578) შორის 2022 წლის 3 თებერვალს გაფორმებული „ქ.თბილისში, დიდი დიღმის მე-2 მიკრო რაიონში, დემეტრე თავდადებულის ქუჩის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, N01.10.06.002.073 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული, 3351 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ ხელშეკრულების საფუძველზე დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან შპს „ნიკე გრუპის“ (ს/ნ. 405385578) უფლებამონაცვლე, შპს „ლ.ბ დიღმის“ (ს/ნ. 430044631) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს წარმომადგენელმა მარიამ კვერნაძემ და განმარტა, რომ კოოპერატიული პროექტის განხორციელების მიზნით, 2022 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანიამ იკისრა ვალდებულება, რომ კოოპერატივის წევრებზე რეგისტრაცია განეხორციელებინა ნებართვის აღებიდან 2 თვის

ვადაში, თუმცა, აღნიშნული ვადა 30 დღით დაირღვა ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, რის გამოც კომპანიას დაეკისრა პირგასამტეხლო 21000 ლარის ოდენობით. ამ ეტაპზე, კომპანიის მხარდაჭერის მიზნით და იქიდან გამომდინარე, რომ ვადაგადაცილება გამოწვეულია ობიექტური მიზეზებით, წარმოდგენილია კომპანიის გათავისუფლება აღნიშნული პირგასამტეხლოს გადახდისგან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

36. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შპს „ირბისთვის" (ს/კ. 205133461) მისამართზე - ქალაქი თბილისი, გორგასლის ქუჩა N105-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.18.09.006.017, ფართობი - 6622 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ნინო ბაგაშვილმა და განმარტა, რომ შპს „ირბი", გორგასლის ქუჩა N105-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე განაშენიანების ინტენსივობის კ2 კოეფიციენტის 4.6-დან 4.9-მდე გადამეტებისა და გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციებისგან გათავისუფლების სანაცვლოდ, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია-ჩანაცვლების მიზნით, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე ჩარიცხავს 679453.17 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

37. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის" და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ისანი თაუერსის" (ს/ნ. 404614681) მიმართ მისამართებზე - ქ.თბილისი, აკ.წერეთლის გამზირი 45 (ს/კ. N01.13.06.010.019) და ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ. 69 (ს/კ. N01.12.13.038.024) - მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში დამატებითი/დაზუსტებითი მხარდამჭერი ღონისძიების გამოყენების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, რამდენიმე თვის წინ, შპს „ისანი თაუერსისთვის" განხორციელდა კ2 კოეფიციენტის მატება, რომელიც იყო საკმაოდ მაღალი - 14.9 და მუნიციპალიტეტმა ინვესტორს მოსთხოვა აღნიშნული კ2 კოეფიციენტის გადამეტება მომიჯნავედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე და შესაბამისად, ხსენებული კ2 კოეფიციენტი გადანაწილდება ქეთევან წამებულის N69-ში არსებულ საკადასტრო ერთეულზე და განისაზღვრება 5.7-ით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

38. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფელირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, მისამართზე - ქ.თბილისი, ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩა N1ა/ქალაქი თბილისი ვლადიმერ მაიაკოვსკის ქუჩა N3/ქალაქი თბილისი სლავა მეტრეველის ქუჩა N9 (ს/კ. N01.13.07.019.049) მდებარე სამშენებლო ობიექტთან მიმართებაში მიღებული ხელშემწყობი ღონისძიებების ფარგლებში შპს „ჯსჯ გრუპის“ (ს/ნ. 405382562) მიმართ გასატარებელი ღონისძიების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, შპს „ჯსჯ გრუპისთვის“ განხორციელდა კ2 კოეფიციენტის მატება, 2.5-დან 2.9-მდე. კომპანიამ, მიზნობრივ ანგარიშზე გადაიხადა თანხის ნაწილი, თუმცა ნაწილი თანხის გადახდა მოხდა დაგვიანებით, რისთვისაც დაეკისრა ჯარიმა, რომელიც ამ ეტაპზე გადახდილია და აქედან გამომდინარე, წარმოდგენილია ვალდებულების ჩათვლა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

39. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და დაგვა-დასუფთავების, ნარჩენების მართვის, ოპერატორის შერჩევის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ნარჩენების განკარგვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-46 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი დადგენილება განსაზღვრავს დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების და გადახდის წესს, რომლის მიხედვითაც მშენებარე ობიექტზე განსაზღვრული გადასახდელი თანხა 1 კვ.მ.-ზე არის 0.50 ლარი. ვინაიდან დაუმთავრებელი ობიექტები, თავისი ფუნქციიდან და არსიდან გამომდინარე, ძირითადად არის მასშტაბურები და ამასთანავე, ამ ობიექტების მიმართ ხელშეწყობითი ღონისძიებები განისაზღვრა 2019-2021 წლებში, როდესაც არ იყო მიღებული აღნიშნული კანონმდებლობა, მიზანშეწონილია მათი გათავისუფლება მოსაკრებლის გადახდისგან.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

40. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების

შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან კანდელაკიშვილმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ თბილისის წყალსაცავის შემოგარენში, მესამე სარტყელის პირველ არეალში დაგეგმილი განაშენიანების რეგულირების გეგმის საპროექტო ტერიტორია გასცდება აღნიშნულ არეალს და გადავა მეორე სარტყელში ან მესამე სარტყელის მეორე არეალში, ეს ტერიტორიები უნდა განვითარდეს მხოლოდ სარეკრეაციო დანიშნულებით, ხოლო ის მიწის ნაკვეთები, რომლებიც განთავსებულია მესამე სარტყელის პირველ არეალში, განვითარდება არსებული რედაქციის მიხედვით დადგენილი რეგლამენტის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

41. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ და ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-03231672-03 თარიღი: 16.06.2023, N12-03231734-03 თარიღი: 22.06.2023, N12-032317361-03 თარიღი: 22.06.2023, N12-032317422-03 თარიღი: 23.06.2023, N12-0323178139-03 თარიღი: 27.06.2023, N12-032317949-03 თარიღი: 28.06.2023, N12-032317953-03 თარიღი: 28.06.2023, N12-032308151-03 თარიღი: 22.03.2023 (განსახილველად წარმოდგენილია „ე“ პოზიცია) და N12-032315836-03 თარიღი: 07.06.2023 (განსახილველად წარმოდგენილია „გ“ პოზიცია), რომლებზეც, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია და კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

42. „ქალაქ თბილისში, ნავთლუღის ქუჩა N8-ში (ნაკვ. 23/010); (ნაკვ. 23/011); (ნაკვ. 23/012) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.023.070; N01.17.12.027.045; N01.17.12.023.082; N01.17.12.023.083; N01.17.12.023.075; N01.17.12.023.077; N01.17.12.023.078; N01.17.12.023.074; N01.17.12.023.073; N01.17.12.023.079; N01.17.12.023.076) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 33000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ექვსი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 28 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

43. „ქ.თბილისში, ლისში, სოფელ აგარაკში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.09.477; N72.16.28.090; N72.16.28.089; N72.16.09.129; N72.16.09.956; N72.16.09.952; N72.16.09.124; N72.16.09.545; N72.16.09.546; N72.16.28.010; N72.16.09.122; N72.16.09.598; N72.16.09.587; N72.16.28.189; N72.16.28.188; N72.16.09.527; N72.16.09.126; N72.16.28.276; N72.16.28.275; N72.16.09.135; N72.16.09.476; N72.16.09.125; N72.16.09.547; N72.16.09.119; N72.16.09.951; N72.16.09.133; N72.16.13.453-ის ნაწილი) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 58000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება ორმოცდაშვიდი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

44. „ქალაქ თბილისში, გახოკიძის ქუჩა N4-ში, N6-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.19.005.005; N01.19.19.005.079) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 8852 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის და საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება ერთი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

45. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-10 კმ., ქალაქ თბილისში, ნოდარ ბოხუას ქუჩა N9, N11ა, N11, N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.13.01.013.025; N01.13.01.013.010; N01.13.01.013.028; N01.13.01.013.027; N01.13.01.013.012; N01.13.01.013.006; N01.13.01.013.026; N01.13.01.012.056; N01.13.01.012.058; N01.13.01.007.054) საუნივერსიტეტო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების

თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 6000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, დაგეგმილია საუნივერსიტეტო კომლექსის განვითარება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

46. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის დასახლებას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის N396 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 33000 კვ.მ. კორექტირებით წარმოდგენილია ერთი, 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შემოერთება და მასზე, არსებული ფუნქციური ზონის - საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრებით, ერთი, მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის განთავსება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

47. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N72.16.21.856, N72.16.21.903, N72.16.21.035, N72.16.21.904, N72.16.21.897, N72.16.21.896, N72.16.21.002, N72.16.21.857, N72.16.21.001) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 50000 კვ.მ., სადაც საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ოცდაცხრამეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

48. „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N49, N49-ა; N49-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.14.07.008.178; N01.14.07.008.180; N01.14.07.008.182) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ 18000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია სპორტის უნივერსიტეტის და მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით.

საბა ბუაძემ განაცხადა, რომ ეს იქნება კატასტროფული პროექტი ქალაქისთვის, ვაკისთვის და ვაკის საცურაო აუზის მიმდებარე ტერიტორიისთვის, რომელიც უკვე ძალიან დიდი პრობლემის წინაშე დგას, რადგან უკვე ინტენსიურად არის განვითარებული, მუდმივად საცობია და მთელი ურბანული ქსოვილი მორღვეულია. მისი თქმით, მოსახლეობა სწორად წუხს ამ პროექტზე, რადგან ეს არის „გაუაზრებელი, მავნებლური, არასაჭირო და საშიში" პროექტი, რომელიც ძალიან სერიოზულ ტვირთად დააწვება იმ უბანს. ამ პროექტს, ურბანული და სატრანსპორტო თვალსაზრისით, არანაირი მიზანშეწონილობა არ აქვს და ხორციელდება მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით, რომ დაკმაყოფილდეს იმ სახელების და გვარების ფინანსური ინტერესი, ვინც ამ პროექტის უკან არიან და სამწუხაროა, რომ მოხდა ამ ფინანსური ინტერესის დაკმაყოფილება. ყველაზე დიდი დანაშაული, რომელიც ამ პროექტთან მიმართებაში მოხდა, იყო სპორტის უნივერსიტეტის გაყიდვა, რადგან სახელმწიფოს ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისთვის, რომ წლების განმავლობაში ყურადღების მიღმა დატოვებული და წინა ხელისუფლების დროს ძალიან სერიოზულად დაზიანებული სპორტის უნივერსიტეტი აღმდგარიყო. თუმცა, სახელმწიფომ ეს არ გააკეთა და გამოსავალი გამოინახა იმაში, რომ საჯარო სიკეთე გაიყიდა და ამ ზიანს კიდევ დაემატა უდიდესი ზიანი, რომელიც ურბანული თვალსაზრისით მიიღო ქალაქმა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ კახა კალაძეს არ გააჩნია იმის უნარი და გამბედაობა, რომ ასეთ პროექტებს უთხრას უარი და ჩვენი ცხოვრების გაუმჯობესებისთვის მიიღოს გადაწყვეტილება. განაცხადა, რომ ეს არის ცუდი პროექტი, რომლის ერთი მოსმენით და ერთი განხილვით მიღება არის საშიში პრეცედენტი და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ძალიან ცუდია, რომ ეს ესე ხდება და ამაზე არ გვაქვს ხანგრძლივად, საფუძვლიანად მსჯელობის საშუალება იმიტომ, რომ ყველა არგუმენტი არის ამ პროექტის საწინააღმდეგოდ, მაგრამ თქვენ პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღეთ ამ ქალაქის საზიანოდ და ეს არის ძალიან სამწუხარო".

ნინო წულაძემ განაცხადა: „ვეწინააღმდეგები მთლიანად ამ პროექტს და ამ გადაწყვეტილებას, რომელიც, ვფიქრობ, რომ თბილისისთვის ურბანულად არის არასწორი გადაწყვეტილება. ნოშრევან ნამორაძის და მისი ინტერესის სფეროში მოქმედი ნებისმიერი სამშენებლო პროცესი სავარაუდოდ შესაძლებელია კორუფციის ნიშნებს შეიცავდეს და ეს არის ნაწილი, როდესაც „ქართული ოცნების" შემომწირველების ფინანსური გაძლიერება უფრო პრიორიტეტია, ვიდრე თბილისის ურბანული იერსახის განვითარება და შენარჩუნება".

ვლადიმერ ბოჟაძემ, სპორტის უნივერსიტეტის სახელით, მადლობა გადაუხადა კოლეგებს წარმოდგენილი პროექტის მხარდაჭერისთვის და განაცხადა, რომ სპორტის უნივერსიტეტს წლებია აქვს პრობლემა - დაცლილია შენობა და სასწავლო პროცესი მიმდინარეობს ორ-სამ სხვადასხვა შენობაში. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია რომ ამ გადაწყვეტილების ფარგლებში, უნივერსიტეტს, 2025 წლიდან, ექნება საკუთარი, გამართული, თანამედროვე და მოწყობილი ინფრასტრუქტურა სწორედ იმ ადგილას, სადაც თავის დროზე დაფუძნდა სპორტის უნივერსიტეტი.

მიხეილ კაკაურიძემ აღნიშნა, რომ როდესაც ოპოზიცია საუბრობს კორუფციული გარიგებების ალბათობაზე, საპასუხოდ ისმის, რომ საკრებულო არ მსჯელობს ამ სიღრმეებით და გადაწყვეტილებას იღებს ურბანული თვალსაზრისით და განაცხადა, რომ ეს პროექტი ზუსტად ის შემთხვევაა, როდესაც სახეზე გვაქვს ორივე მიმართულება - დამაზიანებელი გარიგების შედეგსაც ვხედავთ, რასაც ჰქვია უნივერსიტეტის პრაქტიკულად განადგურება და ამავე დროს,

მართლაც, ურბანული კატასტროფის მომსწრე ვართ. აქედან გამომდინარე, მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „მაინტერესებს, აღნიშნული პროექტი, ურბანული თვალსაზრისით, შეიძლება ვინმემ თქვათ, რომ გამართულია და ჯდება ამ კონკრეტულ სივრცეში - განაშენიანების იმ სატრანსპოტრო გარემოს და იმ რეალობაში, რომელსაც ჩვენ ვაწყდებით ვაკეში?“ იგივე კითხვით მიმართა ოთარ ჩიტიძეს: „თქვენ, ამას მიზანშეწონილად მიიჩნევთ, რომ ურბანულად გამართული პროექტი არის?.. ჯდება ამ ურბანულ ქსოვილში?“

ოთარ ჩიტიძემ აღნიშნა, რომ ჭავჭავაძის გამზირის ის ნაწილი, რომელზეც წარმოდგენილია გეგმარებითი დავალების პროექტი, ზუსტად ასეა განვითარებული და შესაბამისად, ურნბანულად, რა თქმა უნდა, მისაღებია. ხოლო სხვა შემთხვევაში, პროექტი, სამსახურის მიერ, არ წარედგინებოდა არც თბილისის მთავრობას და არც საკრებულოს.

რევაზ სოხაძემ განაცხადა, რომ ოპოზიციას სახელების და გვარების გარდა, არგუმენტი, თუ რატომ არ არის პროექტი მიზანშეწონილი, არ გააჩნია. მისი თქმით, ეს არის ჭავჭავაძის გეგმარებითი კარკასის ნაწილი და თბილისში, თუ სადმე უნდა იყოს მაღლივი შენობები, უნდა იყოს სწორედ ამ ტერიტორიაზე. ხოლო თუ ზოგადად საუბარია იმაზე, რომ თბილისში ყველა უბანი უნდა განვითარდეს 3-4 სართულით, ეს არ მოხდება და არც არის მიზანშეწონილი რომ არ მოხდეს ქალაქის კიდევ უფრო განშლა. მისი თქმით, იქ სადაც არსებობს შესაბამისი შეზღუდვები, რა თქმა უნდა, იქ არ გაიცემა ნებართვები, მაგრამ იმ ტერიტორიაზე, რომლის წინაც არის ვაკის პარკი და უზარმაზარი სივრცე, მაღლივი კორპუსის მშენებლობა მიზანშეწონილია. ამასთანავე, გვაქვს ისეთი მაგალითები, როგორიც არის „აქსის თაუერსი“, რომელიც დღეს თბილისისთვის არის, პოზიტიურ ჭრილში, ერთ-ერთი დამახასიათებელი შენობები და იმედი გამოთქვა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მივიღებთ ისეთ არქიტექტურას და შენობებს, რომლებიც უფრო მეტადაც შეიძლება გახდეს თბილისის თანამედროვე არქიტექტურის დამახასიათებელი ნაგებობები. რაც შეეხება პროექტის კონკრეტულ ტექნიკურ მახასიათებლებს, ის დღეს ვერ იქნება წარმოდგენილი, რადგან ამ ეტაპზე საუბარია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებით დავალებაზე, რომლის მიღების შემდეგაც, ყველაფერი დეტალურად გაწერილი იქნება გრგ-ში და შემდგომ საუბარი იქნება კონკრეტულ არქიტექტურულ პროექტებზე. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ეს არის პროცესი, რომელიც იწყება დღეს და დარწმუნებულია, რომ „დაგვირგვინდება მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტით“.

ნიკოლოზ კახეთელიძემ აღნიშნა, რომ ეთანხმება რევაზ სოხაძეს და განაცხადა, რომ პროექტთან დაკავშირებით ძირითადი წინააღმდეგობა მოდის კონკრეტული სახელის და გვარის ირგვლივ პოლიტიკური მდგენელიდან გამომდინარე. ხოლო რაც შეეხება მსგავსი ტიპის შენობას, უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ტიპის მრავალსართულიანი შენობა ქალაქში იწვევს გარკვეულ პრობლემებს, მაგრამ, ის უნდა იყოს დაძლევადი და ფიქრობს, რომ ამ შემთხვევაში შესაძლო პრობლემა, რომელიც შეიძლება გააჩინოს ამ შენობამ, დაძლევადია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

49. „ქალაქ თბილისში, ქინძმარაულის ქუჩაზე; ქინძმარაულის ქუჩა N37-ში; რქაწითელის ქუჩა N9, N11, N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.33.015.120; N01.19.33.015.050; N01.19.33.015.131; N01.19.33.015.094; N01.19.33.015.195; N01.19.33.015.192; N01.19.33.015.219; N01.19.33.019.126-ის ნაწილი; N01.19.33.015.194) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე "მშრალი პორტი"-ს განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს

სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 199 კვ.მ., რომელიც, გარკვეული ვალდებულებებით, პრივატიზებულია სახელმწიფოს მიერ და ამ ვალდებულებების შესრულების მიზნით, წარმოდგენილია ტერიტორიის განვითარება ე.წ. „მშრალი პორტის" დაგეგმარებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

50. „ქალაქ თბილისში, ნუცუბიძის ქუჩა, IV მიკრო/რაიონში; ქალაქ თბილისში, ავთო ვარაზის ქუჩა N22ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.01.001.190; N01.14.01.001.403; N01.14.01.001.116; N01.14.01.001.383) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 14000 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება სამი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ 2017 წელს, ავთანდილ მახარობლიშვილი იყო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ხოლო ახლა არის საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი ბელგიაში და ევროკავშირის წარმომადგენელი, რომელმაც 737000 ლარი, თავისი ძმის კომპანიას „ლენდ მარკ პროჯექტს" მისცა ყველანაირი გამჭირვალე ტენდერისა და პროცედურების გარეშე და ახლა, ეს არის ნუცუბიძის IV მ/რ-ში, ავთო ვარაზის ქუჩა N22-ში, ორი, თერთმეტ და თორმეტსართულიანი კორპუსების მშენებლობასთან დაკავშირებული საპროექტო კომპანია. შესაძლებელია მშენებლობა ურბანულად მისაღებია, შეიძლება ისიც მისაღებია სატყეო და რეკრეაციული ზონა რომ იცვლება საცხოვრებელი ზონა 6-ით, მაგრამ, ეს არის პრაქტიკა, როდესაც საპროექტოდ იყენებენ ისეთ კომპანიებს, რომელთა დამფუძნებლებსა და წარმომადგენლებს პირდაპირი კომუნიკაცია და კავშირები აქვთ მერიის გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებთან და მაღალჩინოსნებთან, რათა არ გაურთულდეთ კორესპონდენცია და სამართლებრივი დოკუმენტაციების სრულყოფის პროცესი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

51. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.16.104.012) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 70000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ორმოცი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

52. „ქალაქ თბილისში, ლილოს დასახლებაში, იუმაშევის ქუჩა N22-ში (ნაკვ.04/053) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.26.004.053) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე სასაწყობე შენობა-ნაგებობების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 15000 კვ.მ., სადაც, სამრეწველო ზონა 1-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ხუთი შენობა-ნაგებობის მშენებლობა, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია ერთი სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

53. „ქალაქ თბილისში, სოფელ ქვემო ლისის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.16.104.013, N72.16.20.571) სააგარაკე-დასასვენებელი ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 75000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ორმოცდაცხრა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, სარეკრეაციო ზონა 3-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

54. „ქალაქ თბილისში, გიორგი ნადარეიშვილის ქუჩა N7-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.17.12.015.042; N01.17.12.015.043) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 29000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია სამი მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის მშენებლობა, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

55. „ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივანი N206, N204გ, N204, N204-ბ-ის მიმდებარედ, N204ა, N204ბ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.662; N01.72.14.014.872; N01.10.06.004.003; N01.72.14.014.010; N01.72.14.014.200; N01.72.14.014.408) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე საგამოფენო დარბაზის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 6000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ერთი შენობა-ნაგებობის განთავსება, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

56. „ქალაქ თბილისში, ტაბახმელაში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.19.215; N81.02.19.634; N81.02.13.701; N81.02.19.902; N81.02.19.004; N81.02.19.901; N81.02.19.071; N81.02.13.575; N81.02.19.217; N81.02.19.003; N81.02.19.070; N81.02.19.216; N01.81.10.291.007; N81.02.13.789; N81.02.13.790; N81.02.19.635) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 30000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ოცდათხუთმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

57. „ქალაქ თბილისში, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ., მე-13 კმ. (ნაკვ. 14/579); ქალაქ თბილისში, აგრარული უნივერსიტეტის ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.72.14.014.835; N01.72.14.014.843; N01.72.14.014.579; N01.72.14.014.380) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 5000 კვ.მ., სადაც დაგეგმილია ერთი შენობა-ნაგებობის ე.წ. „შოუ რუმის" განთავსება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

58. „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.022.007) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 77000 კვ.მ. დაგეგმილია ტერიტორიის განვითარება საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრებით, სადაც 90% დაეთმობა საცხოვრებელ, ხოლო 10% - კომერციულ ფუნქციას და რეკრეაციულ სივრცეს. აღსანიშნავია, რომ პროექტი მიიღება კომისიების რეკომენდაციების შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

59. „ქალაქ თბილისში, პეტრე იბერის ქუჩის შესახვევი N13-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.06.022.008) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 83000 კვ.მ. ტერიტორიის განვითარება დაგეგმილია საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1-ის პარამეტრებით, სადაც განთავსდება თორმეტი შენობა-ნაგებობა. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც, გეგმარებითი დავალების მიღება ხდება შესაბამისი რეკომენდაციებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

60. „ქალაქ თბილისში, თენგიზ შეშელიძის ქუჩა N13-ში; ქალაქ თბილისში, მეტრო სადგურ „სარაჯიშვილი"-ს მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.11.17.001.151; N01.11.17.001.152) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 5000 კვ.მ., სადაც,

საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3-ის პარამეტრებით, განთავსდება მრავალფუნქციური კომპლექსი, რომლის მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია ორი სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

61. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით, საკრებულოს დამოუკიდებელ წევრს, პოლიტიკური საქმიანობისთვის, ანაზღაურება მიეცემა იმავე ოდენობით, რაც ეძლევა საკრებულოს ამა თუ იმ ფრაქციის წევრს, ფრაქციისთვის გაწეული საქმიანობისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 16 დადგენილება და 45 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

საკრებულოს თავმჯდომარის
პირველი მოადგილე გიორგი ახვლედიანი